ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 2 სექტემბერი, 2011 №208 (5588) ფასი: 30 თეთრი

## საქართველო – რუსეთი 58:65

გვ.3



# 5 სექტემბრიდან აქციები დაიწყება



გვ.3

## ზუგდიდელი დევნილების ნაწილი დასაბინავებელთა სიაში ვერ ხვდება

გვ.5



## კოკოითის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი წამებით მოკლეს

გვ.2

## პატიმრების რაოდენობამ კატასტროფულ ზღვარს მიაღწია

„ხათუნა კალმახელიძის განცხადებების კომენტირება არ შეიძლება“



გვ.4



## პაატა ზაქარეიშვილი: „ხელისუფლებამ აფხაზური პასპორტები ქართულად უნდა აღიაროს“

გვ.3



გვ.4

## მოქალაქეები სასკოლო სახელმძღვანელოებს უკვე სახლიდან გაუსვლელად იწერენ

## „საქართველოდან საზღვარგარეთ უკვე ოჯახებითა და ჩვილი ბავშვებით მიდიან“



გვ.5

## ახალგორის რაიონის ქართულ სკოლაში პირველკლასელები აღარ ჰყავთ

გვ.2



## სამთაწყაროელი მევენახეები რთველის დაწყებაზე უარს ამბობენ

გვ.6



## თურქეთი შეცდომის გამოსწორებას აპირებს

გვ.6

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 კუკავას პარტია ალექსანდრე ანქვაბს მიმართავს

3 ლეიბორისტები გაეროში ჩივიან

4 რუსთავის №2 დაწესებულებაში დიაბეტით დაავადებული პატიმრები კომაში არიან

6 დავით ონოფრიშვილი: შემოდგომაზე ინფლაცია მოიმატებს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# კოკოითის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი წამებით მოკლეს

თეა მარხვაი ე

**როგორც ჩანს, კოკოითისა და მისი გარემოცვისთვის ცუდი დრო დადგა. რამდენიმე თვის წინ ვლადიკავკაზში მისი დაცვის წევრი (რომელიც მისი ბიძაშვილი იყო) მოკლეს, 31 აგვისტოს ღამით კი — მისი ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი, ალექსანდრე ბოლშაკოვი.**



რუსული სააგენტოების ცნობით, მკვლელობა ვლადიმიროვსკის ოლქში მოხდა. მომხდართან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

გამოძიების ინფორმაციით, 31 აგვისტოს ღამეს ქალაქ სუზდალში, ბოლშაკოვის სახლში სამი დაუდგენელი ნიღბიანი პირი შეიჭრა, რომლებიც ფულს ითხოვდნენ.

ოჯახის უფროსი უცნობმა პირებმა სარდაფში ჩაიყვანეს, სადაც სცემეს, შემდეგ კი დანით ყელის არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს. მიყენებული ჭრილობების შედეგად დაშავებული ადგილზე გარდაიცვალა.

უცნობმა პირებმა გარდაცვლილის მეუღლესაც სცემეს, რის შემდეგაც დამნაშავეები მიიმალნენ. არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილის სახლიდან ფული და სხვადასხვა ნივთი წაიღეს.

ალექსანდრ ბოლშაკოვმა კოკოითის ადმინისტრაციის უფროსის პოსტი აგვისტოს ომის შემდეგ დაიკავა. წლების განმავლობაში მას ულიანოვსკის მხარის ვიცე-გუბერნატორის პოსტი ეკავა.

ამ მკვლელობას პოლიტიკასა და ცხინვალში მოახლოებულ არჩევნებთან არანაირი კავშირი არა აქვს. თუმცა, ეს ფაქტი ცხინვალში არსებულ რთულ ვითარებას არ ამარტივებს.

რამდენიმე დღის წინ ცხინვალში ოპოზიციონერ თედეევის სახლის წინ ავტომანქანა ააფეთქეს. ხელისუფლება ტერაქტის მოწყობას ოპოზიციას აბრალებს, ოპოზიცია კი საპირისპიროს ამტკიცებს.

ექსპერტთა ვარაუდით, არჩევნების მოახლოებასთან ერთად სამხრეთ ოსეთში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბება, ზოგიერთები კი შეიარაღებულ დაპირისპირებას ვარაუდობენ.

არჩევნებში რამდენიმე კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას. ყველას თავისი მომხრე ეყოლება. ეს მომხრეები კი შეიარაღებული არიან. ამ რეგიონში მოსახლეობას იარაღი ყოველთვის ჰქონდა. აგვისტოს ომის შემდეგ კი ამ მხრივ ვითარება კატასტროფულია.

ადგილობრივი ხელისუფლება რამდენჯერმე შეეცადა იარაღის ამოღებას, მაგრამ ამაოდ და რადგან მოსახლეობას იარაღი აქვს, შიშობენ, რომ ვითარების გამწვავების შემთხვევაში შეიარაღებული კონფლიქტი გარდაუვალია.

მოსალოდნელი არეულობისთვის, როგორც ჩანს, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებაც ემზადება. გუშინ ედუარდ კოკოითი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა და არჩევნების მშვიდად ჩატარების პირობა დადო.

როგორც ოსური მედია იუწყება, კოკოითი დესტაბილიზაციის მსურველებს მკაცრად დაემუქრა.

— ის, ვინც ქვეყანაში დესტაბილიზაციას შეეცდება, მკაცრად იქნება დასჯილი. მკაცრ ზომებს მივიღებთ იმათ წინააღმდეგაც, ვინც ცესკოზე ზეწოლის მოხდენას შეეცდება, — განაცხადა კოკოითიმ.

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ამ შეხვედრაზე იმ ძალებზეც ისაუბრა, რომლებიც ქვეყანაში არეულობას გეგმავენ.

— ეს ის ძალები არიან, რომლებსაც არანაირი პოლიტიკური პერსპექტივა არ გააჩნიათ. მათ წინასწარ იციან, რომ მარცხისთვის არიან განწირული. ამიტომაც ყველაფერს აკეთებენ, რომ მოსახლეობა შეცდომაში შეიყვანონ და დააბნიონ. ისინი ყველა ქუჩის ბოლოს ლამის „სამართლიან არჩევნებს" ითხოვენ, ამ ფონზე კი თავად არღვევენ კონსტიტუციას, — განაცხადა ცესკოს წევრებთან შეხვედრისას კოკოითიმ.

კონსტიტუციის დარღვევაში კოკოითი იმას გულისხმობს, რომ ვილაცები არჩევნებში მონაწილეობას აპირებენ.

სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციის თანახმად, საპრეზიდენტო არჩევნებში ის პირები მიიღებენ მონაწილეობას, რომლებიც ბოლო 10 წლის განმავლობაში სამხრეთ ოსეთში ცხოვრობდნენ.

კონსტიტუციის ეს ნორმა ხელს სერიოზულად უშლის კოკოითის მთავარ მოწინააღმდეგე ძამბოლატ თედეევს, რომელიც, მართალია, ცხინვალელია, მაგრამ აქ თითქმის საერთოდ არ უცხოვრია, მით უმეტეს — ბოლო ათი წლის განმავლობაში. ამ თემაზე მან რამდენჯერმე გააკეთა განცხადება.

— ჩემი არჩევნებში მონაწილეობის მიღება მოსკოვიდან განხორციელებულ ზარზე იქნება დამოკიდებული, — განუცხადა რუსულ მედიას ჯერ კიდევ აპრილში თედეევმა.

მას რუსეთის ხელისუფლებასთან კარგი ურთიერთობა აქვს და რა გასაკვირია, რომ ახლობლის ზარის იმედი აქვს.

— საარჩევნო ცენზთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მოსკოვი მიიღებს. ასეთი ტიპის განცხადება მთელ წინასაარჩევნო კამპანიას დისკრედიტაციას უწევს, — გამოთქვა აღშფოთება კოკოითიმ.

ცესკოს თანამშრომლებს ის ჰპირდება, რომ ზარი მოსკოვიდან ვერაფერს შეცვლის.

— კონსტიტუციის შეცვლის უფლება მეც კი არ მივეცი საკუთარ თავს, მაშინ როცა ქვეყნის მეთაური ვარ. ასე რომ, მოსკოვიდან განხორციელებული ზარით კონსტიტუციაში ცვლილება არ შევა, — ამბობს სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი.

არადა, მას მართლაც უნდოდა კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა. მესამე ვადით სურდა პრეზიდენტობა და ამიტომ. ამის ხათრით მისმა მომხრეებმა რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით ხელმოწერები შეაგროვეს. თუმცა სწორედ მოსკოვიდან განხორციელებული ზარის გამო თქვა მან უარი კონსტიტუციაში ცვლილების შეტანაზე. ამდენად, გამორიცხული არაა, რომ ცვლილება ისევ შევიდეს კონსტიტუციაში.

სამხრეთ ოსეთის ცენტრალური კომისია გუშინ უკვე შეუდგა მუშაობას, ახლო მომავალში კი უკვე კანდიდატებსაც დაარეგისტრირებენ. საპრეზიდენტო არჩევნები აქ მიმდინარე წლის 13 ნოემბერს ჩატარდება.

არჩევნებთან ერთად 13 ნოემბერს რეფერენდუმიც გაიმართება, რომელიც გაარკვევს, ცნობენ თუ არა ცხინვალელები მეორე სახელმწიფო ენად რუსულს.

## საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ავტრალიას ეწვევა

სინგაპურში ვიზიტით მყოფი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე და თანმხლები საპარლამენტო დელეგაცია 2-4 სექტემბერს ოფიციალური ვიზიტით ავსტრალიას ეწვევა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შეხვდება ავსტრალიის პარლამენტის სპიკერს, ჰენრი ალფრედ ჯენკინსს. ასევე, დავით ბაქრაძე და საპარლამენტო დელეგაცია შეხვედრებს გამართავენ ავსტრალიიის პარლამენტის საგარეო, თავდაცვისა და სავაჭრო კომიტეტების თავმჯდომარესთან მაიკლ დავიდ დენბისთან და ავსტრალიის პარლამენტის სხვა წევრებთან. ასევე დაგეგმილია შეხვედრა ახალი სამხრეთ უელსის გუბერნატორთან მარია ბაშირთან.

ცნობისთვის: სინგაპურში ქართულმა დელეგაციამ გამართა შეხვედრები ადგილობრივ ბიზნეს და საინვესტიციო წრეების წარმომადგენლებთან გამოცდილების გაზიარებისა და საქართველოში დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.

**მედიანიუსი**

## პრეზიდენტმა დაღუპული ჯარისკაცის ოჯახს მიუსამძიმრა



საქართველოს პრეზიდენტმა მწუხარება გამოთქვა ავღანეთში ქართველი ჯარისკაცის, უმცროსი სერჟანტის რეზო ბერიძის გარდაცვალების გამო. იგი ჰელმანდის პროვინციაში პატრულირების დროს ტალიბების თავდასხმისას მიღებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა.

მიხეილ სააკაშვილი სამძიმარს უცხადებს დაღუპული ჯარისკაცის ოჯახს, მის თანამებრძოლებსა და ქართველ ხალხს.

რეზო ბერიძე მე-3 ქვეითი ბრიგადის შემადგებლობაში სამშვიდობო მისიის ფარგლებში ჰელმანდის პროვიცნიაში მსახურობდა.

**მედიანიუსი**

## კუკავას პარტია ალექსანდრე ანქვაბს მიმართავს



„თავისუფალი საქართველოს" ოკუპირებული აფხაზეთის ს ახლად არჩეულ დე ფაქტო პრეზიდენტს ალექსანდრე ანქვაბს მიმართავს.

პარტიის მიმართვას მედიას საგანგებო პრესკონფერენციაზე „თავისუფალი საქართველოს" პოლიტიკური მდივანი თენგიზ ომანიძე გააცნობვს.



როგორც „მედიანიუსს" პარტიაში განუცხადეს, მათ სურთ გამოხატონ რწმენა იმისა, რომ აფხაზეთში ახალი მეთაურის არჩევა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ახალი ფურცლიდან დაწყების საწინდარი გახდება.

**მედიანიუსი**

## ახალგორის რაიონის ქართულ სკოლაში პირველკლასელები აღარ ჰყავთ




გუშინ ოკუპირებული ახალგორის რაიონის სკოლებში სწავლა განახლდა, თუმცა არცერ ქართულ სკოლაში პირველკლასელები არ ჰყავთ.

როგორც „მედიანიუსს" ახალგორის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარემ ავთანდილ ყორჩიშვილმა განუცხადა, ოკუპირებულ რაიონში ისეთი მდგომარეობაა, ხალხს ხმამაღლა ქართულად ლაპარაკისა და სიმღერის ეშინია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ახალგორელების ნაწილი საკუთარ სახლებს დაუბრუნდა, ოკუპირებულ რაიონში ბავშვების შეყვანას მაინც ერიდებიან.

— საბედნიეროდ, ოკუპანტებსა და სეპარატისტებს ქართული სკოლები ჯერ არ გაუუქმებიათ. იმისთვის, რომ ქართულენოვანმა სკოლებმა ფუნქციონირება არ შეწყვიტონ და მათ გასაუქმებლად ადგილობრივმა სეპარატისტულმა მთავრობამ ბავშვების სიმცირე და უსახსრობა არ მოიმიზეზოს, პედაგოგებს ხელფასს ქართული მხარე უხდის. გარკვეული თანხით, სასწავლო დაწესებულებებს, სეპარატისტული ადმინისტრაციაც აფინანსებს, — აღნიშნა „მედიანიუსთან" საუბრისას ავთანდილ ყორჩიშვილმა.

მისივე ინფორმაციით, ბოლო დროს სულ უფრო მეტი ახალგორელი უბრუნდება საკუთარ სახლს.

— მოსახლეობა რაიონში არსებულ სამეურნეო მიწებს ამუშავებს და ეს ძალიან კარგია. ვისაც ოკუპაციამდე ეზარებოდა მუშაობა, ის მუშაობით ახლაც არ იკლავს თავს. უსაფრთხოებას იმიზეზებენ და მხოლოდ მთავრობის დახმარების იმედად ცხოვრობენ. ის ოჯახები კი, რომლებიც ომამდე მეურნეობით ირჩენდნენ თავს, მიწებს ახლაც ამუშავებენ. ვისაც მუდმივად დარჩენის ეშინია, რაიონში სისტემატურად შედის და გამოდის. ჯერჯერობით მიმოსვლაზე პრობლემები არ არის, — აღნიშნა „მედიანიუსთან საუბრისას ავთანდილ ყორჩიშვილმა.

ცნობისთვის არსებული მონაცემებით, ახალგორის რაიონის ქართულ სკოლებში კლასებში 2-3, მაქსიმუმ 4 მოსწავლე ირიცხება. ზოგიერთ სკოლაში კი, მოსწავლეთა რაოდენობა 10-ს არ აღემატება.

**მედიანიუსი**

## ახალგორში ბიბლიოთეკებს აუქმებენ

ახალგორში ბიბლიოთეკებს აუქმებენ, -ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ახალგორის მოსახლეობამ აცნობა.

— ახალგორში იხურება ცენტრალური და საბავშვო ბობლიოთეკები. ორივე ბიბლიოთეკა წეროვანში გადააქვთ, — განაცხადეს ახალორელებმა.

მათივე ინფორმაციით, ახალი სასწავლო წლიდან, ასევე, წეროვანის დევნილთა დასახლებაში განთავსდება ბავშვთა სახლი, რომელიც ბოლო დრომდე ახალგორში ფუნქციონირებდა.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# საქართველო — რუსეთი 58:65

**(16:20, 11:20)**

**საქართველო:** ცინცაძე (2ქ), მარკოიშვილი (21ქ), სანიკიძე (10ქ,8მ), ვ.ბოისა, ფაჩულია (11ქ), ცქიტიშვილი (4ქ), შენგელია (3ქ), ჰეინსი (7ქ,6მ), შერმადინი, გამყრელიძე, ა.ბოისა, ფარლალავა

**რუსეთი:** ვორონცევიჩი (5ქ), მოზგოვი (6ქ), ბიკოვი (2ქ), ფრიძონი (9ქ), შვედი (7ქ), შაბალკინი, ხრიაპა (1ქ), ანტონოვი 3ქ), მონია (12ქ), ხოსტოვი, პანკრაშოვი, კირილენკო (20ქ)

რუსებთან მატჩში თავიდანვე აუტსაიდერაბად ვითვლებოდით, მაგრამ როგორც მატჩის მიმდინარეობამ წარმოაჩინა, იყო შანსი, მატჩი საჩვენოდ დასრულებულიყო, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის — რუსების უფრო მეტმა გამოცდილებამ თავისი გაიტანა და იგორ კოკოშკოვის შეგირდებმა ლიტავში პირველი მარცხი განიცადეს.

მატჩი კირილენკოს ორქულიანით დაიწყო, რასაც მანუჩარ მარკოიშვილმა ზედიზედ ორი სამქულიანით უპასუხა და ჩვენები 6:2 დაწინაურდნენ. თუმცა, უქმად არც მეტოქე იყო და ჯერ — ანტონოვმა, შემდეგ კი ფრიძონმა წინ უკვე რუსები გაიყვანეს — 8:6.

ამას ვიქტორ სანიკიძის გააქტიურება მოჰყვა, რომელმაც 5 ქულა მიითვალა და ჩვენები კვლავ დააწინაურა. შემდეგ უკვე კირილენკოს ჯერი დადგა, რომელმაც მხარი მონიამ აუბა — 14:17. მეოთხედის ბოლომდე რუსებმა უპირატესობა ქულით გაზარდეს და 20:16 მოიგეს.

მეორე მეოთხედი ქულა-ქულაში დაიწყო. თითქოს არანაირი ხარვეზი არ ჩანდა, მაგრამ მოულოდნელად ჩვენებმა შეცდომებს უხშირეს — გამსაკუთრებით შეტევაში და მეტოქეს წინ სოლიდურად გასვლის საშუალება მისცეს — 24:33.

იქვე სანიკიძემ თითქოს ყველაფერი გამოასწორა, მაგრამ ეს მხოლოდ ბოლო გაბრძოლება აღმოჩნდა — ტაიმის ბოლომდე ქულები მხოლოდ რუსებმა იხვეჭეს და კოკოშკოვის გუნდი დიდ შესვენებას მინუს 13 ქულის სხვაობით შეხვდა — 27:40.

მესამე მეოთხედის დასაწყისში 5:0 გავექეცით მეტოქე, მაგრამ რუსებმა იქვე დაალაგეს სიტუაცია და სტატუსკვო ისევ აღადგინეს. საქმეს არც მანუჩარ მარკოიშვილის ზედიზედ ჩაგდებულმა 5-მა ქულამ უშველა.

სიტუაცია ოდნავ მარკიზ ჰეინსმა გამოასწორა, რომელმაც სხვაობა შვიდ ქულამდე დაიყვანა, იქვე რუსებმა პასუხი გაგვცეს, თუმცა მეოთხედის ბოლო სიტყვა მარკოიშვილმა თქვა — 45:52.



მეოთხე მეოთხედი იმედიანად დაიწყო — ჯერ მარკოიშვილმა, შემდეგ კი შენგელიამ სხვაობა 2 ქულამდე დაიყვანეს. გარკვეული დროის მანძილზე ეს სხვაობა ძალაში დარჩა — დაახლოებით 4 წუთის მანძილზე ტაბლოზე 52:50 ენთო, რუსების სასარგებლოდ. შემდეგ ვორონცევიჩმა და კირილენკომ სხვაობა საგრძნობლად გაზარდეს, მაგრამ ფაჩულიამ და ჰეინსმა მატჩს ინტრიგა დაუბრუნეს, თუმცა...

იქვე კირილენკომ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. მატჩის გადარჩენა სანიკიძეს შეეძლო, მაგრამ მისი სამქულიანი კალათმა არ მიიღო და ბოლო წამები უკვე ფორმალობად იქცა — საბოლოოდ — 58:65.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# 5 სექტემბრიდან აქციები დაიწყება

შორენა გონგლაძე

**საქართველოში, ევროპის ექვს ქვეყანაში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლობებთან ოთხი დღის განმავლობაში აქციები გაიმართება. აქციის ინიციატორები არიან „ქართული პარტია", „თეთრების" ახალგაზრდული ორგანიზაციები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები „ივერიელი" და „ქართველი ემიგრანტები".**



ამის შესახებ გუშინ „ქართული პარტიის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ორგანიზატორებმა განაცხადეს. როგორც პრესკონფერენციაზე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველი ემიგრანტების" თავმჯდომარე ზვიად ყუშიტაშვილმა განაცხადა, აქციები 5 სექტემბერს ერთდროულად გაიმართება კრწანისში, ევროკავშირის წარმომადგენლობასთან, ასევე ევროპის ექვს ქვეყანაში — თურქეთში, საბერძნეთში, იტალიაში, პოლონეთში, საფრანგეთსა და ესპანეთში არსებულ საელჩოებთან და საკონსულოებთან.

აქციის ორგანიზატორთა განცხადებით, აქცია კრწანისში ევროკავშირის წარმომადგენლობასთან 6 სექტემბერსაც გაიმართება, ასევე 7 სექტემბერს საქართველოს პარლამენტთან, ხოლო 8 სექტემბერს — გაეროს სახლთან.

„თეთრების" ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელ გიორგი ფარესიშვილის განცხადებით კი აქციები თბილისში 26 მაისს განვითარებულ მოვლენებს მიეძღვნება და ამასთან დაკავშირებით გადაღებული დოკუმენტური ფილმის ჩვენებაც გაიმართება. როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, აქციის მიზანია, შეახსენონ ევროპას, თუ რა მოხდა 26 მაისს თბილისში და რომ საქართველოში ავტორიტარული რეჟიმია. მიმდინარეობს პოლიტიკური ნიშნით ახალგაზრდების დევნა და იმ ადამიანების, რომლებსაც განსხვავებული აზრი გააჩნიათ.

საზოგადოება, ალბათ, მიესალმება ყველა იმ ინიციატივასა და ღონისძიებას, რომლებიც ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისკენ იქნება მიმართული, მაგრამ, ძალზე საეჭვოა, ამ ინიციატივამ რაიმე დადებითი შედეგი მოიტანოს. პირველი ის, რომ დემოკრატიის შუქურად წოდებულმა ამერიკამ და ჩვენმა კეთილმოსურნე ევროპელმა მეგობრებმა, რომლებიც, როგორც წესი, ჩვენი თუ რუსეთის ხელისუფლების ლოგიკას მოკლებულ ნებისმიერ გამოხდომებს მხოლოდ ტრადიციული აღშფოთებით პასუხობს, ნაკლებად სავარაუდოა, გული აუჩუყოს და გონებას საღი აზროვნება აიძულოს. ამ აქციების წარუმატებლობის მეორე მიზეზი არის ის, რომ ჩვენმა მოიმედე ევროპამ 26 მაისის დარბევა „ლეგიტიმურად" ცნო, თუ რატომ, ამის მიზეზები უკვე არაერთხელ ითქვა და დაიწერა, მაგრამ შედეგი? ტრადიციულად, არაფერი.

ქართველ საზოგადოებას (და არა ოპტიმიზმით შეპყრობილ ოპოზიციას) მომავალი არჩევნების სახით კიდევ ერთ რეალობასთან შეჯახება და შეგუება მოუწევს. სააკაშვილი იყო შვიდი წლის მანძილზე და კიდევ არაერთი წელი იქნება, ამის საფუძველი კი ხელისუფლების მიერ ჩექმასავით მორგებული კონსტიტუცია, საარჩევნო კოდექსი და ქორვაჭრობაში გაწაფული გაყიდულ-მიყიდული და მოსყიდული ოპოზიციაა. მიშა იქნება მანამ, სანამ მომავალი აქციის ადრესატები სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების მუშაობას დადებით შეფასებას აძლევენ. ასე რომ, ეს აქციებიც ისევე დალევენ ჩაილურის წყალს, როგორც საქართველოში შვიდი წლის მანძილზე გამართულმა სხვა აქციებმა დალიეს. მიუხედავად ყველაფრისა, აქციის ორგანიზატორებს წარმატებების იმედი აქვთ და მიაჩნიათ, რომ ყველა ასეთი გამართული აქცია წარმატებისკენ გადადგმული ნაბიჯია. რას ვიზამთ, „ნეტარ არიან მორწმუნენი".

# პაატა ზაქარეიშვილი: „ხელისუფლებამ აფხაზური პასპორტები ქართულად უნდა აღიაროს"

კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი ხელისუფლებას აფხაზური პასპორტების ცნობისკენ მოუწოდებს.

როგორც „მედიანიუსს" კონფლიქტოლოგმა განუცხადა, ბევრი აფხაზი სამკურნალოდ და სხვადსხვა სოციალური საკითხის მოსაგვარებლად დანარცენ საქართველოში გადმოდის, თუმცა დოკუმენტაცის გამო პრობლემები ექმნება, ამიტომ საქართველომ ყველა აფხაზური დოკუმენტი ცალმხრივად შიდა მოხმარებისთვის ქართულად უნდა გამოაცხადოს.



— ქართულად უნდა ცნონ ასევე აფხაზური მანქანის ნომრები. აფხაზების ნაწილი სამკურნალოდ ან სხვა რამის გამო, როდესაც დანარჩენ საქართველოს ტერიტორიაზე გადმოდის, მანქანას ზუგდიდში ტოვებს და სხვა ტრანსპორტით გადაადგილდება. მათ ყველანაირად უნდა გავუმარტივოთ ჩვენთან ურთიერთობა. ამიტომ აფხაზეთში გამოცემული ყველა ნორმატიული აქტი, ჩვენმა ხელისუფლებამ ქართულად უნდა გამოაცხადოს. ამას არავითარი შეთანხმება არ სჭირდება. ცალმხრივად აღიარება საკმარისია.

ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობამ საქართველოსგან ყველა სახის სოციალური დამხარების მიღება უნდა შეძლოს, ბევრი გაჭირვებული აფხაზი ამ დახმარებით ისარგებლებს და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მიმოსვლას დაიწყებს, რაც აფხაზების საქართველოსთან ინტეგრაციას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, — აცხადებს ზაქარეიშვილმა.

კონფლიქტოლოგმა „მედინაიუსთან" საუბრისას ახლად არჩეული აფხაზეთის ე.წ პრეზიდენტის ალექსანრე ანქვაბზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის მეტად პატიოსანი და პრინციპული ადამიანია.

ზაქარეიშვილის თქმით, ანქვაბი, მისი პიროვნებიდან გამომდინარე, აფხაზეთში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას პრობლემებს არ შეუქმნის და რუსეთისგან დისტანცირებასაც შეეცდება. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოსთან ურთიერთობას და მის შემადგენლობაში დაბრუნებას მოისურვებს, უბრალოდ, პიროვნულად არის პატიოსანი ადამიანი და ამ თვისებიდან გამომდინარე გალის რაიონში მცხოვრები ქართველების დევნას არ დაიწყებს.

— ანქვაბი არ არის დემოკრატი და ლიბერალი, მაგრამ მეტად პატიოსანი და პრინციპული პიროვნებაა. მას საბჭოთა მენტალიტეტი აქვს, ამიტომ ეროვნულობას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მხოლოდ აფხაზებს არ გამოარჩევს, შეეცდება აფხაზეთში მცხოვრები ყველა ეროვნების ხალხი ერთ ერად შეკრას. ის უფრო მეტად იზრუნებს მოსახლეობაზე, ვიდრე მისი წინამორბედები. ის ასევ შეეცდება რუსეთისგან დისტანცირება მოახდინოს. გარკვეული იზოლაციის მოხდენას მოისურვებს, რადგან მიაჩნია, რომ რუსეთთან ახლანდელი ურთიერთობის ფორმა აფხაზეთს საშიშროებას უქმნის. ამის გამო, მას ბევრი მტერი ჰყავდა. ოთხჯერ მოუწყვეს ტერაქტი. გარკვეულ ძალებს მისი ჩამოშორება სურდათ, —აღნიშნავს ზაქარეიშვილი.

„მედიანიუსის" კითხვაზე, საქართველოს ხელისუფლება რამდენად მოახერხებს მასთან ანქვაბთან საერთო ენის გამონახვას? — კონფლიქტოლოგმა განაცხადა, რომ საქართველოს დიალოგის დაწყების შანსი ყველაზე მეტად სერგეი ბაღაფშთან ჰქონდა, მაგრამ მან ეს შანსი არ გამოიყენა.

— დიალოგის დასაწყებად ყველაზე კარგი კანდიდატი სერგეი ბაღაფში იყო. მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ ეს შანსი ხელიდან გაუშვა, როდესაც 2006 წელს კოდორში შევიდა. ჩვენ მხრიდან არ არის აფხაზეთთან დიალოგის დაწყების სურვილი, თორემ შეხების წერტილის გამონახვა ნებისმიერ პიროვნებასთან შეიძლება. პირველ ეტაპზე ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ 2006 წლამდე მდგომარეობას. კონფლიქტების დარეგულირების საკითხში შევარდნაძის პოლიტიკა არასწორი იყო, მაგრამ ახლა ესეც სანატრელი გაგვიხდა, რადგან მაშინ რაღაც დონეზე მაინც იყო ურთიერთობა აფხაზურ მხარესთან და მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. ახლა ოკუპირებულ რეგიონებთან ყველანაირი კონტაქტი გაწყვეტილი გვაქვს. აუცილებელია ამ კონტაქტების აღდგენა, — აღნიშნა ზაქარეიშვილმა.

**მედიანიუსი**

# ლეიბორისტები გაეროში ჩივიან

ლეიბორისტული პარტია გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ჟან ზერმატენს წერილით მიმართავს.



როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა განაცხადა, ისინი გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტს სპეციალური კომისიის შექმნის თხოვნით მიმართავენ, რომელიც საქართველოში ჩამოვა და განათლების სფეროში არსებულ მდგომარეობას შეისწავლის.

— ჩვენ შევადგინეთ წერილი და მივმართეთ გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ჟან ზერმატენს, რათა მათ გამოყონ სპეციალური მისია, რომელიც ჩამოვა საქართველოში და შეისწავლის განათლების სფეროში არსებულ მძიმე მდგომარეობას, — აღნიშნა შატბერაშვილმა.

მისი თქმით, 1 სექტემბერი ათეულობით წლის განმავლობაში ბავშვებისათვის ცოდნის და განათლების ზეიმი იყო.

— ეს საზეიმო დღე, დღეს ჩვენმა ხელისუფლებამ ჩვენს ბავშვებს მოუშალა, რადგანაც მათ წაართვა ბედნიერი ბავშვობა, მოუსპო სკოლის გამოყენების საშუალება, წაართვა დედა ენა, მასწავლებელი და წიგნები. არსებული 3 ათასი სკოლიდან დაიხურა 1200 სკოლა, — აღნიშნა შატბერაშვილმა.

მისი თქმით, კატასტროფულადაა გაძვირებული სახელმძღვანელოები, ბავშვთა ტანსაცმელი და საკვები, ასევე ტრანსპორტი, რომლით სარგებლობის გარეშეც, ბავშვებს სკოლაში სიარული უკვე აღარ შეუძლიათ.

— ეს ყველაფერი წარმოადგენს ჩვენი ბავშვების გენოციდს, კულტურულ გენოციდს. თვით გაეროს მონაცემებით, ჩვენი ბავშვების 20 პროცენტზე მეტს მოსპობილი აქვს განათლების მიღების უფლება, საქართველო კი გაეროს მიერ მომაკვდავი ერების სიაშია შეყვანილი. ეს გასაკვირი არაა, რადგან ამ ქვეყნის ბავშვებს წართმეული აქვთ კონსტიტუციით დეკლარირებული ელემენტარული უფლება, ეს არის განათლების უფლება, — განაცხადა შატბერაშვილმა.

**მედიანიუსი**

# პატიმრების რაოდენობამ კატასტროფულ ზღვარს მიაღწია

ქეთი ხომერიკი

**სოსო მანჯავიძე:**

— საქართველოში პატიმრების რაოდენობამ და მათ მიმართ არაადამიანურმა დამოკიდებულებამ დიდი ხანია უკვე კატასტროფულ ზღვარს მიაღწია. საპატიმროებში თითქმის ყოველდღე იღუპებიან პატიმრები. ჩვენ მონიტორინგს კი ვითხოვთ, მაგრამ სამწუხაროდ, დღეს ყველა მოთხოვნა რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. და ამ მხრივ პესიმისტურს ვერაფერს ვხედავთ და ველით, თუმცა ბრძოლას, რა თქმა უნდა, ვაგრძელებთ. მოთხოვნით და ბრიფინგებით ხელისუფლება არაფერს გააკეთებს, ამისთვის საჭიროა ხალხის ნების გამოხატვა, ანუ მშვიდობიანი მრავალრიცხოვანი მანიფესტაციები. სხვათა შორის, ერთ-ერთი პატიმრის დედამ, ნაზი აფციაურმა ჩვენ გვითხრა, რომ მარიამობის დღესთან დაკავშირებით სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან პატიმრები არ გაუთავისუფლებიათ. მისი თქმით, რუსთავის ციხეებთან მშობლები მთელი დღის განმავლობაში მორიგეობდნენ, თუმცა საპატიმროები დაახლოებით 10-მა კაცმა დატოვა და კალმახელიძის განცხადება, იმასთან დაკავშირებით, რომ 200 პატიმარი შეიწყალეს, სიცრუეა. რუსთავის ციხეებიდან მხოლოდ 10 პატიმარი გაათავისუფლეს. მათ სასჯელის მოხდამდე კი 1 თვე ჰქონდათ დარჩენილი, — გვითხრა ამ ქალბატონმა.

***— კალმახელიძე იმასაც ამტკიცებს, რომ პატიმრებს არაადამიანურად არ ეპყრობიან და მათი გარდაცვალებაც ბუნებრივად დგება...***

— ქალბატონი კალმახელიძეს ბოდვაზე კომენტარს არ გავაკეთებ, ეს არის არაკომპეტენტურობისა და უზნეობის სინთეზი. ამ ქალბატონს ეტყობა არც გაუგია, რა არის აქტირება, პატიმარს რომ ეკუთვნის სასჯელის გადავადება, როცა ის სასიკვდილოდ არის ავად და სხვა. ეს კი ელემენტალური რამეებია. კამახელიძე ამ სისტემაში კოსმეტიკური მიზნებით არის და როგორც ვიცი, საერთოდ ვერ ერკვევა, სად მოხდა და რა უბედურება აილო თავის თავზე. ამ ქალბატონს რომ ვუყურებ, თან ვბრაზდები, თან მეცოდება. რაც შეეხება ციხეებში არსებულ მდგომარეობას, მოდებულია ტუბერკულიოზი, ცე ჰეპატიტი, უამრავი სხვა დაავადება, იგივე ფილტვების და სხვა. ეს გარკვეულწილად გამოწვეულია არასწორი კვებისა და უჰაერობისაგან. წამება, არაადამიანური მოპყრობა და პატიმრების სიკვდილამდე ცემა არახალია. და ეს ყველაფერი გრძელდება და მწვავდება. ჩვენ შევეცდებით, რომ რაიმეს მივაღწიოთ ჩვენი აქტიურობით და დავეხმაროთ პატიმრებს. აქ კიდევ მეორე ასპექტია — ხელისუფლება ცდილობს, პატიმრები წინა საარჩევნო კოზირად კვლავ გამოიყენოს. მათ ოჯახებს ჰპირდებიან, რომ გაუნახევრებენ სასჯელს, ზოგს ეუბნებიან, არ მოვკლავთო, ზოგს არ ვაწამებთო, ზოგს გამოვუშვებთო და ა.შ. რა თქმა უნდა, მხარდაჭერის სანაცვლოდ. აი, ეს ჩვეული, ნაცადი არადამიანური ფაშისტური მეთოდია, რომელსაც კვლავ იყენებს ეს ბოროტი ხელისუფლება. აქვე მინდა გითხრათ ერთი რამ. ხელისუფლების შიგნით უკვე ძალიან სერიოზული ძალთა გადაჯგუფება მიმდინარეობს. ხელისუფლების შიგნით დიდი დაპირისპირებაა. ერთ მხარეს არიან ეს ე.წ. ნეოლიბერტანიელები, ლიბერალფაშისტები „თავისუფლების ინსტიტუტის“ ჯგუფს და უგულავაბოკერიას ვგულისხმობ, სხვათა შორის, ესენი ერთმანეთშიც არ არიან მთლად ბოლომდე შეთანხმებულნი, მეორე მხარეს კი სააკაშვილ-მერაბიშვილ-ახალაიას ტანდემია.

## „ხათუნა კალმახელი ის განცხადებების კომენტირება არ შეი ლება“

***„წინააღმდეგობის მოძრაობა“ პენიტენციური სისტემის მონიტორინგის საბჭოს შექმნას ითხოვს. ისინი საერთაშორისო ორგანიზაციებს ამასთან დაკავშირებით დახმარებას სთხოვენ. მანჯავიძის თქმით, ამის გარდა, მათი მოთხოვნა ამნისტიის შესახებ კვლავაც ძალაშია. „ახლა ხელმოწერებს ვაგროვებთ და გამოსვლებს ამნისტიის მოთხოვნით კვლავ დავიწყებთ“, — აცხადებს მანჯავიძე. მანჯავიძე დარწმუნებულია, რომ თუ ამ მოთხოვნით მშვიდობიანი, მრავალრიცხოვანი მანიფესტაციები გაიმართება, გარკვეული შედეგი დადგება. „ახალი თაობა“ ამ საკითხზე და იმაზე, თუ რა ქვედინებებია, რა ხდება ხელისუფლების შიგნით, სოსო მანჯავიძეს ესაუბრა.***



***— რატომ უპირისპირდება ერთმანეთს ეს ორი ჯგუფი, რა ვერ გაიყვეს?***

— სააკაშვილს უმთავრდება პრეზიდენტობის ვადა და შესაბამისად, ყველა ეძებს თავის, ასე ვთქვათ, უსაფრთხოების ნიჟარას. სააკაშვილს, რა თქმა უნდა, ხელისუფლებიდან წასვლა არ უნდა, ამიტომ კოლიზია აქ გარდაუვალია. ამ ჯგუფებს აქვთ თავიანთი რესურსები, კავშირები და ცდილობენ თავიანთი პოლიტიკური მომავლის უზრუნველყოფას.

***— და რატომ არ ათავისუფლებს თანამდებობებიდან ამ ადამიანებს სააკაშვილი, ოქრუაშვილი და ბევრი სხვა გაწირა, ასე ვთქვათ, შეელია ხომ... სხვათა შორის, კულუარებში საუბრობენ სააკაშვილი შემოდგომაზე ადეიშვილის მოხსნას აპირებსო...***

— ვერ წირავს, იქ ძალთა განლაგებებია და არ არის ეს ასე იოლი. ოქრუაშვილი იმიტომ მოისროლა ხელისუფლებიდან, რომ მან წააგო ამ გუნდში, ვერ ითამაშა, გუნდი გაერთიანდა მის წინააღმდეგ და გარიყა, გააგდო. და საერთოდაც, ნებისმიერი დიქტატორი თავის გუნდს მაინც უწევს ანგარიშს. ფინანსურად და ძალოვანი წარმომადგენლებით, რა თქმა უნდა, ძლიერია სააკაშვილის გუნდი და არა მეორე ჯგუფი. თუმცა, მათ ლეგიტიმაცია უმთავრდებათ და ამიტომ აქვთ პრობლემა. პრობლემა ისაა, რომ სააკაშვილს მიუხედავად იმისა, რომ ვერავინ იტანს, ამავდროულად აქვს ნიჭი პოლიტიკური ინტრიგების დაგეგმის და შედეგის დადების. აი, ეს შეუძლია, ეს ფაქტია, მან ხომ ურთულეს სიტუაციებში მოახერხა (ზოგიერთი ჩვენი ე.წ. ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ხელშეწყობით ასევე) და შეინარჩუნა ხელისუფლება. ანუ მათი პოლიტიკური სახე, ლიდერი უნდათ თუ არა მაინც სააკაშვილია. და სხვათა შორის, თითოელი ამათთაგანი არ ატარებს სააკაშვილის ამ თვისებებს.

***— თავად ამ გუნდს სურს, რომ ახლავე გამოეყოს სააკაშვილს?***

— ახლა ისინი ცდილობენ პოლიტიკური სახის მიღებას. სააკაშვილს უმთავრდება ლეგიტიმაცია, აქედან გამომდინარე, მის წიაღში მყოფი გუნდი ცდილობს გავიდეს ალტერნატიულ პოლიტიკურ ველზე, შექმნას თავისი პოლიტიკური სახე. აი, ამისთვის ისინი, რა თქმა უნდა, შეეცდებიან გარკვეული კონტაქტებისა და კავშირების დაამყარებას ოპოზიციის, ასე ვთქავთ, კონსტრუქციულ ნაწილთან.

***— რომ ერთად მოვიდნენ ხელისუფლებაში რაიმე ფორმით?***

— რა თქმა უნდა, გეგმა ასეთია, მაგრამ ამას ხედავს სააკაშვილი და ეს ძალიან არ მოსწონს, რადგან მას ვერ წარმოუდგენია ცხოვრება უმაღლესი ხელისუფლებაში ყოფნის გარეშე, მისთვის ხელისუფლებიდან წასვლა სიცოცხლიდან წასვლას ნიშნავს, თან პირდაპირ ჯოჯოხეთში. სააკაშვილი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე შეეცდება იბრძოლოს და შეინარჩუნოს ძალაუფლება და ამა თუ იმ ფორმით დარჩეს ხელისუფლებაში. და ყველა ის, ვინც გარკვეულ საფრთხეს შეუქმნის მას და დაინახავს, რომ ეს საფრთხე რეალურია, მისთვის მოსისხლე მტრად გადაიქცევა, არა აქვს მნიშვნელობა, რა ამაგი ჰქონდა მას მასზე. რა თქმა უნდა, სააკაშვილი პრემიერობისთვის ემზადება და ამ შემთხვევაში არავისი, მათ შორის, არც დასავლეთის აზრი აინტერესებს. დასავლეთის მაინტრების აზრი სააკაშვილს ამ შემთხვევაში ნამდვილად, არ აინტერესებს, არც ადარდებს.

***— სააკაშვილის პრემიერობას საზოგადოება არ შეგუება და ალბათ, არც დაუშვებს... ქვეყანაში არეულობა გარდაუვალია?***

— დიახ, ამას, რა თქმა უნდა, ეს მოჰყვება. სამწუხაროდ, არეულობა და სერიოზული კონფლიქტები მანამდეც არის მოსალოდნელი და ამის მოწმენი ჩვენ ძალიან მალე გავხდებით.

## მოქალაქეები სასკოლო სახელმძღვანელოებს უკვე სახლიდან გაუსვლელად იწერენ

წელს პირველად, წიგნების დისტრიბუციის პროცესში საქართველოს ფოსტა ჩაერთო. სურვილის შემთხვევაში, მშობლებს შესაძლებლობა ეძლევათ საქართველოს ფოსტის ვებ-გვერდის საშუალებით სახლიდან გაუსვლელად გამოიწერონ სასწავლო სახელმძღვანელოები, კურიერი წიგნებს მათ სახლში მიუტანს.



როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ, ახალი სერვისით უკვე მრავალმა ოჯახმა ისარგებლა.

ერთ-ერთ პირველ შემკვეთს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და საქართველოს ფოსტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კახა ბაინდურაშვილი სახლში ეწვივნენ და თავად დაესწრნენ კურიერის მიერ მათთვის წიგნების გადაცემის პროცესს.

ოჯახმა სამინისტროს მიერ გამოცემული სპეციალური საინფორმაციო ბუკლეტის „სასკოლო სახელმძღვანელოების მიხედვით არჩევანი გააკეთა და საჭირო სახელმღვანელოები საქართველოს ფოსტის მეშვეობით გამოიწერა.

საქართველოს ფოსტასთან თანამშრომლობა დადებული მემორანდუმის ფარგლებში ხორციელდება. წელს პირველად საქართველოს ფოსტა ასევე უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოების დარიგებას. 14 სექტემბრამდე წიგნებს სოციალურად დაუცველი ყველა მოსწავლე მიიღებს.

**მედიანიუსი**

## რუსეთში საქართველოს მოქალაქე დააკავეს

რუსეთში, რუსმა მესაზღვრეებმა, საქართველოს მოქალაქე დააკავეს. საქართველოს მოქალაქე, ჩინეთში გადასვლას სომხეთის მოქალაქის პასპორტით ცდილობდა, როდესაც რუსმა მესაზღვრეებმა სასაზღვრო გამშვებ პუნქტ ბლოგოვეშენსკ-ხეიხესთან დააკავეს.

ამურელმა მესაზღვრეებმა ქალბატონი მაშინ აიყვანეს, როდესაც ის საპასპორტო შემოწმებას გადიოდა.

საქართველოს მოქალაქის წინააღმდეგ, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 322 მუხლით საქმე აღიძრა, რაც სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადალახვას გულისხმობს.

**მედიანიუსი**

## არჩილ ჯორჯაძე: თელავის ყოფილი გამგებელი კომუნისტური პარტიის გადმონაშთია

„ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენლის არჩილ ჯორჯაძის მტკიცებით, 2 ოქტომბრისთვის დანიშნული თელავის შუალედურ არჩევნებში მაჟორიტარობის კანდიდატად „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ თელავის გამგებლის ვასილ დავითაშვილის წარდგენით კიდევ ერთხელ გამოჩნდა მათი ნამდვილი სახე.

— ნაციონალური მოძრაობა პირდაპირი მემკვიდრეა საბჭოთა კომუნისტური პარტიის, ყოველ შემთხვევაში თელავის მაგალითზე, — განუცხადა რადიო „ჰერეთს“ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა.

ჯორჯაძის თქმით, თელავის გამგებელი ვასილ დავითაშვილი ჯერ საბჭოთა კომუნისტური პარტიის წევრი იყო, შემდეგ მოქალაქეთა კავშირის და ახლა ნაციონალური მოძრაობის.

— ვასილ დავითაშვილს 2000-2005 წლებში თელავის გამგებლის თანამდებობა ეკავა. ამ პოზიციაზე იგი მედეა მეზვრიშვილის უშუალო ჩარევითა და მხარდაჭერით იქნა არჩეული. ახლა დავითაშვილის და იმ კლანის წევრებს, რომელსაც იგი წარმოადგენს, არავითარი პოლიტიკური პრინციპები და პოლიტიკური ღირსება არ გააჩნია. იგი იყო ერთ-ერთი, რომელიც გულმოდგინებით ლანძღავდა იმ გუნდს, რომლის სახელითაც უნდა რომ გახდეს საქართველოს პარლამენტის წევრი. ასეთი ადამიანები კი დარწმუნებული ვარ, რომ ვერ და არ ააშენებენ თანამედროვე, სოციალურ და სამართლებრივ პრინციპებზე დამყარებულ სახელმწიფოს, — განაცხადა არჩილ ჯორჯაძემ.

როგორც ცნობილია, თელავის გამგებელმა ვასილ დავითაშვილმა გამგებლის თანამდებობა 31 აგვისტოს დატოვა. მან არ დააკონკრეტა, რის გამო ტოვებდა პოზიციას. არაოფიციალური ინფორმაციით კი, ვასილ დავითაშვილი ორი ოქტომბრის არჩევნებისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი იქნება. თავად ამ ინფორმაციას ჯერ არ ადასტურებს.

**მედიანიუსი**

## რუსთავის №2 დაწესებულებაში დიაბეტით დაავადებული პატიმრები კომაში არიან

არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ ერთ-ერთი ლიდერის ნანა კაკაბაძის ინფორმაციით, სასჯელაღსრულების რუსთავის №2 დაწესებულებაში განთავსებული დიაბეტით დაავადებული პატიმრები კომაში არიან.



როგორც „პირველს“ კაკაბაძემ განუცხადა, აღნიშნულის მიზეზი დიაბეტით დაავადებული პატიმრებისთვის დიეტური საკვებისა და მედიკამენტების მიწოდების შეწყვეტა გახდა.

— ასეთი სულ 17 პატიმარია. მათი ოჯახების წევრებს მსჯავრდებულთათვის საკვების შეგზავნის უფლებას არ აძლევენ და როგორც ადმინისტრაციის თანამშრომლებმა განუმარტეს, „ბრძანებაა ასეთი“. ბუნებრივია, მსგავსი ბრძანება ვერ იარსებებს, რადგან ეს პატიმრისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის ტოლფასია, — განუცხადა „პირველს“ კაკაბაძემ.

აღნიშნულ ფაქტს თავად სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში კატეგორიულად უარყოფენ.

— ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. დიაბეტით დაავადებულ ყველა პატიმარს მედიკამენტები და საკვები შეუზღუდავად მიეწოდება, — განუცხადა „პირველს“ სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსმა თეა სუხიშვილმა.

**პირველი**

## მეტროპოლიტენის სადგურების ჰოლი მეტრომანის ქვითრებით არის მოფენილი

თბილისის მეტროპოლიტენიდან უკვე რამდენიმე თვეა ნაგვის ურნები გაქრა, მოქალაქეები კი ხშირად, „მეტრომანზე“ თანხის დარიცხვისას მიღებული ქვითრების ჯიბეში შენახვას მისი იქვე გადაგდებს ამჯობინებენ, რის გამოც მეტროპოლიტენის ყველა სადგურის ჰოლი ქვითრებით არის მოფენილი.

როგორც „მედიანიუსს“ თბილისის მეტროპოლიტენის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, მეტორპოლიტენში, უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, ნაგვის ურნები არ დგას და მათი დადგმა არც ახლო მომავალში იგეგმება.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უფროსის თამაზ რობაქიძის განმარტებით, მოქალაქე ვალდებულია მეტრომანზე თანხის დარიცხვისას მიღებული ქვითარი მეტროდან გასვლის შემდეგ ქუჩაში არსებულ ნაგვის ურნაში ჩააგდოს.

— ევროპის არცერთი დიდი ქალაქის მეტროპოლიტენში დიდი ნაგვის ურნები არ დგას, უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, პატარა ნაგვის ურნების დადგმას კი ახლო მომავალში არ ვგეგმავთ, — განაცხადა რობაქიძემ და დასძინა, რომ მეტროპოლიტენში ქვითრის დაგდებისათვის ჯერ არავინ დაუჯარიმებიათ.

სახელმწიფო დაწესებულების დაბინძურებისათვის მოქალაქეს ზოგადი ადმინისტრაციული კანონით ჯარიმა ეკისრება. მეტროპოლიტენში ნაგვის ურნების არ არსებობით თბილისის მერია მოსახლეობას კანონის დარღვევისაკენ თითქოს თავად უბიძგებს.

**მედიანიუსი**

# 4 უმაღლეს სასწავლებელში ვაკანტური ადგილები არ დარჩა

2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების პირველადი ჩარიცხვების შედეგად სამ სახელმწიფო და ერთ კერძო უმაღლეს სასწავლებელში ვაკანტური ადგილები არ დარჩა.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალური მონაცემებით, 2011 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებს 34 000-მდე აბიტურიენტი აბარებდა, მათაგან მხოლოდ 2500-მდე აბიტურიენტი ვერ გახდა სტუდენტი, 22 236 აბიტურიენტი უკვე ჩაირიცხა მისთვის სასურველ აკადემიურ პროგრამებზე, ხოლო 10 000-ზე მეტ აბიტურიენტს აქვს შესაძლებლობა მეორადი ჩარიცხვებით იმ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდეს, რომელსაც ვაკანტური ადგილები დარჩა.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და თავისუფალი უნივერსიტეტი მეორადი ჩარიცხვებით აბირუტიენტებს აღარ მიიღებენ.

— იმ უმაღლეს სასწავლებლებს შორის, რომლებზეც 2011 წელს აბიტურიენტების მხრიდან ყველაზე დიდი მოთხოვნა იყო, სამი სახელმწიფო და ერთი კერძო უნივერსიტეტი მოხვდა. აქედან გამომდინარე, სტუდენტობის მსურველთა შორის დიდი პოპულარობითა და მოთხოვნით სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები ლიდერობენ. თსუ-ს, თსსუ-ს, ილიას უნივერსიტეტსა და თავისუფალ უნივერსიტეტს არცერთ სპეციალობაზე ვაკანტური ადგილი არ დარჩათ, — განუცხადეს „პირველს" ერთიანი ეროვნული გამოცდების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

უკვე შევსებული 4 უნივერსიტეტიდან ყველაზე დიდი რაოდენობა 4100 აბიტურიენტი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიღო.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ნანა მამაგულაშვილის განცხადებით, გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემებით, იმ აბიტურიენტთა რაოდენობა, რომელთაც უნივერსიტეტების ჩამონათვალში პირველ ადგილზე თსუ ჰქონდათ მითითებული, გასულ წლებთან შედარებით, 60%-ით გაიზარდა.

— 2011 წლის ეროვნული გამოცდების შედეგებიდან გამომდინარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველაზე პოპულარული სპეციალობები კვლავ იურიდიული, ეკონომიკა, ბიზნესი და ჰუმანიტარულია, თუმცა ამის პარალელურად მოთხოვნილება საბუნებისმეტყველო და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზეც გაიზარდა,— განაცხადა მამაგულიშვილმა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებით 2083 აბიტურიენტი ჩაირიცხა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ლანა ღვინჯილიას თქმით, წინა წლებთან შედარებით, ილიას უნივერსიტეტმა მისაღებ აბიტურიენტთა კონტინგენტი 30%-ით გაზარდა.

— წლევანდელი გამოცდების შედეგების მიხედვით ილიას უნივერსიტეტში ყველაზე მოთხოვნადი ბიზნესისა და ტურიზმის მენეჯმენტის ფაკულტეტებია, რომელზეც 900 სტუდენტი ჩაირიცხა, — განაცხადა ღვინჯილიამ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენლის ირინა კვაჭაძის განცხადებით, პირველადი ჩარიცხვების შედეგად სამედიცინო უნივერსიტეტში 1079 აბიტურიენტი ჩაირიცხა.

— თსსუ-ს 2011 წლის ეროვნული გამოცდებისთვის 1110 ადგილი ჰქონდა გამოყოფილი, მეორადი ჩარიცხვებისთვის 30 ვაკანტური ადგილია (23 ადგილი - მედდის, ხოლო 8 - ბებიაქალის სპეციალობაზე) დარჩენილი. წლევანდელ წელს ყველაზე მოთხოვნადი მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტები იყო, — განუცხადა „პირველს" კვაჭაძემ.

სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისგან განსხვავებით, „თავისუფალმა უნივერსიტეტმა" მხოლოდ 240 სტუდენტი მიიღო.

„თავისუფალი უნივერსიტეტის" კანცლერის გიორგი მელაძის განცხადებით, უნივერსიტეტში ჩასარიცხ აბიტურენტთა კონტინგენტი ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის პრინციპით არის განსაზღვრული, ამიტომ „თავისუფალი უნივერსიტეტი" ისეთი დიდი რაოდენობით სტუდენტებს არ იღებს, როგორც ბაზარზე არსებულ ბევრ სახელმწიფო უნივერსიტეტშია დაშვებული.

— „თავისუფალი უნივერსიტეტი" იმდენ სტუდენტ იღებს, რამდენის შემდგომი დასაქმებისა და კარიერული წინსვლის უზრუნველყოფაც შეუძლია, — განუცხადა „პირველს" მელაძემ.

ცნობისთვის, მეორად გამოცდებში მონაწილეობის მსურველთათვის რესურს-ცენტრებში განცხადების მიღება 31 აგვისტოს დაიწყო.

მეორად გამოცდებში მონაწილეობის მიღება იმ აბიტურიენტებს შეუძლიათ, რომლებმაც ეროვნული გამოცდები ჩააბარეს, თუმცა მითითებული ფაკულტეტებისთვის საჭირო შეფასება ვერ მიიღეს.

მეორადი ჩარიცხვებისთვის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე - 10884, ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 6062 ადგილია დარჩენილი.

— მეორად ჩარიცხვებზე საბუთების მიღება 5 სექტემბრამდე გაგრძელდება. შემდეგ მიღებული განაცხადების დამუშავება მოხდება და საბოლოო შედეგები საგრანტო კონკურსის მაჩვენებლებთან ერთად დაახლოებით 2 კვირაში გახდება ცნობილი, — განუცხადეს „პირველს" ერთიანი ეროვნული გამოცდების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

შეგახსენებთ ასევე, რომ 2011 სასწავლო წლიდან სახელმწიფო გრანტების გაცემის წესი შეიცვალა. სამართლის, ჯანდაცვის, ბიზნესის ადმინისტრირების, მასობრივი კომუნიკაცია-ჟურნალისტიკის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტებზე ჩარიცხული სტუდენტები მხოლოდ 100-პროცენტიანი სახელმწიფო გრანტის მოპოვების შემთხვევაში დაფინანსდებიან. ყველა სხვა მიმართულებაზე სწავლას სახელმწიფო 100%, 70%, 50% და 30%-პროცენტიანი გრანტით უზრუნველყოფს.

**პირველი**

# ანაკლია-განმუხურის საცალფეხო ხიდზე უახლოეს დღეებში მიმოსვლა შეწყდება

ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელ საცალფეხო ხიდზე, რომელიც 22 აგვისტოს საზეიმოდ გაიხსნა, სამუშაოები გრძელდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს" იმ მომუშავე ადამიანებმა უთხრეს, ხიდი 22 აგვისტოსთვის დასრულებული არ იყო. ხიდის პროექტის მენეჯერის, შოთა ოდიშელიძის თქმით კი, გერმანიიდან ჩამოტანილია მაღალი ხარისხის ხის მასალა, რომლითაც მოხდება უკვე არსებული მასალის ჩანაცვლება. მისივე ინფორმაციით, ხიდის დიზაინი რადიკალურად არ შეიცვლება, თუმცა შესაძლოა, სიგანეში გაიზარდოს. გარდა ამისა, შესაძლოა, ხიდს რკინისა და შუშის კონსტრუქციებიც დაემატოს. სამშენებლო სამუშაოების დასრულებას სამ თვეში ვარაუდოებენ. ამასთან, როგორც „ინტერპრესნიუსის" კორესპონდენტი იუწყება, ხიდზე ამჟამად მიმოსვლა შეზღუდული არ არის, თუმცა უახლოს დღეებში, ხიდზე სამუშაოების დასრულებამდე მიმოსვლა აიკრძალება.

**ინტერპრესნიუსი**

# ზუგდიდელი დევნილების ნაწილი დასაბინავებელთა სიაში ვერ ხვდება

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო იძულებით გადაადგილებულ პირთა ბინებით დაკმაყოფილების პროცესს აგრძელებს. დევნილთა ნაწილს, რომელიც ამ დრომდე ზუგდიდში, დროებით საცხოვრებლებში იყო შესახლებული, ფოთში ახალაშენებული, კომფორტული ბინები დაუკანონეს, თუმცა ნაწილმა ფოთში გადასახლებაზე უარი განაცხადა.

„პირველი" აღნიშნულთან დაკავშირებით დევნილთა სხვადასხვა კატეგორიების წარმომადგენლებს გაესაუბრა.

როგორც ფოთში გადასახლებული ერთ-ერთი დევნილი აცხადებს, ახალი ბინა მას იდეალურ მდგომარეობაში ჩააბარეს და იგი ყველანაირ პირობას აკმაყოფილებს.

— ახალ ბინებში საცხოვრებლად იდეალური პირობებია. ყველა ბინას საკუთარი სანკვანძი გააჩნია. თავად რემონტი მაღალ დონეზე, თითქმის უნაკლოდაა შესრულებული, განსხვავებით იმ დასახლებებისგან, რომელშიც დევნილები 2008 წლის ომის შემდგომ პერიოდში სასწრაფო რეჟიმში შეასახლეს. ფართები სულადობის მიხედვით დაგვინაწილეს: ერთ და ორ სულზე ერთოთახიანი, 2-ზე მეტ სულზე - მეტოთახიანი, — განუცხადა „პირველს" ახალი ბინის მეპატრონე ერთ-ერთმა დევნილმა.

თუმცა არიან ისეთებიც, რომლებსაც, ფოთში შეთავაზებული ბინების კომფორტულობის მიუხედავად, ზუგდიდიდან გადასვლა არ სურთ. ამის მიზეზი ძირითად შემთხვევებში ზუგდიდში დასაქმებულობის ფაქტორი და გალის რაიონის სიახლოვეა.

— ფაქტობრივად, ცხოვრების თავიდან დაწყება ორჯერ მოგვიწია: ჯერ - 1993 წელს, შემდეგ კი 1998-ში, არეულობის დროს. ახლა უკვე მეცამეტე წელია, ზუგდიდში ვცხოვრობთ, აქ ვმუშაობთ და გარკვეული შემოსავალი გვაქვს, რომ ოჯახი ვარჩინოთ. ფოთში ან სხვა ნებისმიერ ქალაქში გადასახლების შემთხვევაში სამსახურს დავკარგავთ, ახლის პოვნა კი მოგეხსენებათ, არც ისე მარტივია, — განმარტავენ ზუგდიდში დასაქმებული დევნილები.

გარდა ამისა, მათ ე.წ. საზღვრის ფოთისგან სიშორე აშფოთებს.

— რთულია იმ ფაქტთან შეგუება, რომ გალიდან შორს მოგვიწევს გადასახლება, რადგან ჩვენს ძირითად შემოსავალს გალის ტერიტორიაზე



მიღებული მოსავალი წარმოადგენს. შორ მანძილზე გადაადგილება გარკვეულ თანხებთანაა დაკავშირებული, ამიტომაც ეს ჩვენთვის რეალური პრობლემაა, — განმარტავენ ისინი.

მიუხედავად ყველაფრისა, დევნილთა დიდმა ნაწილმა საცხოვრებელი უკვე შეიცვალა და სხვა ქალაქში გადასახლდა იმის შიშით, რომ წუწუნით ვერაფერს გახდებოდა და საბოლოოდ უსახლკაროდ დარჩებოდა.

მათი მტკიცებით, იყო მუქარის ფაქტებიც იმის შესახებ, რომ თუ არ გადასახლდებოდნენ, საერთოდ ვერაფერს მიიღებდნენ.

ცალკე პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბინის მიღების შემთხვევაში საცხოვრებელი 6 თვის მანძილზე არ უნდა დატოვო, რაც პერიოდულად მოწმდება და ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში დიდია შანსი იმისა, რომ დევნილებს ბინა საერთოდ ჩამოერთვათ.

„პირველი" დევნილთა იმ კატეგორიასაც გაესაუბრა, რომელსაც, დაპირების მიუხედავად, ბინა ჯერ არ მიუღია. საუბარია, კერძოდ, ზუგდიდის ფაიფურის დასახლებაში, ე.წ. სტამბის შენობაში მცხოვრებ დევნილებზე.

მათი განცხადებით, ყველა ის პირი, რომელიც აღწერის დროს დროებით საცხოვრებელში ფიზიკურად არ იმყოფებოდა, შესაბამისი სიის მიღმა დარჩა.

— მოგეხსენებათ, ბინების გადაცემა თითო სულზე კვადრატული მეტრობით ხდება, შესაბამისად, როცა ვინმე სიაში არ იწერება, ფართიც მცირდება. დევნილთა უმეტესობა კი, რომელიც საზღვართან ახლოს ცხოვრობს, ხშირად გალის ტერიტორიაზეა გადასული და მიწას ამუშავებს, ამიტომ მუდმივად ბინაში ყოფნას ვერ ახერხებს. ვერც სტუდენტი დაჯდება აღწერის მოლოდინში მუდმივად სახლში, რადგან მათი უმეტესობა სხვა ქალაქში სწავლობს, ამიტომ თუ რამე არ შეიცვალა, ბევრი მათგანი ჭერის გარეშე დაეჩება. ის, რომ გალში სახლები გვაქვს და მიწას ვამუშავებთ, სულაც არ ნიშნავს, რომ ეს სტაბილური საცხოვრებელია. იქ მუდმივად არსებობს საფრთხე, სამუდამოდ დაკარგო ცხოვრების უფლება, — აცხადებენ დევნილები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „პირველი" ლტოლვილთა და განახლების სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსს ეკა გულუას დაუკავშირდა კითხვით, არსებობდა თუ არა სამართლებრივი საფუძველი იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული მიზეზით ვინმე სიაში არ ჩაეწერათ, თუმცა პასუხი იმაში მდგომარეობდა, რომ მან „კითხვა საერთოდ ვერ გაიგო".

**პირველი**

# „საქართველოდან საზღვარგარეთ უკვე ოჯახებითა და ჩვილი ბავშვებით მიდიან"

წინააღმდეგობის მოძრაობის ომბუდსმენი ემიგრაციის საკითხებში ნინო ცხოიძის თქმით, საქართველოდან საზღვარგარეთ თავშესაფრის მომთხოვნთა რაოდენობა, 2007 წლის შემდგომ, გაცილებით გაიზარდა.

როგორც „მედიანიუსთან" საუბარში ნინო ცხოიძემ განაცხადა, ბოლო 2-3 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც, საქართველოში პოლიტიკური პროცესები გააქტიურდა და საპროტესტო აქციები გახშირდა, ისეთი ადამიანებიც კი, რომლებსაც შესაძლოა მიტინგებში მონაწილეობა სულ არ მიუღიათ, აცხადებენ, რომ ისინი პოლიტიკური დევნის ქვეშ იმყოფებიან და საზღვარგარეთ თავშესაფარს ითხოვენ.

— 2007 წლამდე ძალიან დიდი განსხვავება იყო თავშესაფარის მომთხოვნთა რაოდენობასა და არალეგალ ემიგრანტებს შორის, ვინაიდან საქართველოდან ძირითადად არალეგალი ემიგრანტები მიდიოდნენ, თავშესაფარს კი ძირითადად ის ადამიანები ითხოვდნენ, ვისაც მეტნაკლებად პოლიტიკასთან ჰქონდათ კავშირი. ისიც აღსანიშნავია, რომ თავშესაფარს ყველა ქვეყანა არ აძლევს და ამიტომ მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში ფიქსირდებოდნენ ქართველი ემიგრანტები, კერძოდ, საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, გერმანიასა და შვეიცარიაში. ბოლო ორი სამი წელია, მას შემდეგ რაც საპროტესტო აქციების ფაქტები გახშირდა და პოლიტიკური პროცესები გააქტიურდა, ისეთი ადამიანებიც კი, რომლებსაც შესაძლოა სულ არ მიუღიათ მიტინგებში მონაწილეობა, საზღვარგარეთ აცხადებენ, რომ პოლიტიკური დევნის ქვეშ



იმყოფებიან და თავშესაფარს ითხოვენ. ეს არ არის იოლი პროცედურა. მათ დოკუმენტურადაც უნდა დაადასტურონ, რომ დევნის ქვეშ იმყოფებიან. ამიტომ ყველა მომთხოვნი ვერ ღებულობს სტატუსს, — აღნიშნა ცხოიძემ.

მისი თქმით, 2009 წლის აპრილის აქციების შემდეგ, თავშესაფრის მომთხოვნთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა.

— ევროპაში არსებობენ მომთაბარე ემიგრანტებიც, რომლებიც ქვეყნიდან ქვეყანაში გადადიან იმის შიშით, რომ უკან საქართველოში არ დააბრუნონ. ეს არის ძალიან სავალალო მდგომარეობა და ვფიქრობ ხელისუფლებამ სირაქლემის პოზაში ყოფნას თავი უნდა დაანებოს, — აცხადებს ცხოიძე.

მისი თქმით, ოფიციალური, რეალური სტატისტიკა იმის შესახებ, თუ რამდენი ადამიანი გადის საქართველოდან, არ არსებობს.

— ის ოფიციალური მონაცემები, რომლებიც არსებობს, საიდან მოაქვთ არ ვიცი, რადგან ანგარიშობენ, თითქოს გაცილებით მეტი ადამიანი ბრუნდება საქართველოში, ვიდრე გადის. ნებისმიერი ადამიანი დაადასტურებს იმას, რომ საქართველოდან გამსვლელთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. რაც მთავარია, საზღვარგარეთ ვისაც მე ვუკავშირდები, ყველა მეუბნება, რომ ყოველ შაბათკვირას ახალ-ახალი სახეები ჩნდებიან ამა თუ იმ ქვეყნის ამა თუ იმ ქალაქში. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოდან იმაზე მეტი ხალხი მიდის, ვიდრე 2003 წლამდე მიდიოდა, — აღნიშნავს ცხოიძე.

მისი თქმით, საქართველოს მოქალაქეები ყველაზე ხშირად სამუშაოდ რუსეთში, თურქეთში, საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში და ამერიკაში მიდიან.

— ეს იმის მანიშნებელია, რომ საქართველოში ხალხმა პერსპექტივა დაკარგა და საზღვარგარეთ უკვე ოჯახებითა და ჩვილი ბავშვებით მიდიან, — აცხადებს ცხოიძე.

**მედიანიუსი**

# თურქეთი შეცდომის გამოსწორებას აპირებს

თურქეთმა რელიგიური უმცირესობებისთვის ჩამორთმეული ქონების დაბრუნება გადაწყვიტა. ეს ნაბიჯი ბევრმა ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე წარმატებულ სვლად შეაფასა. „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტი დორიან ჯონსი დეტალებს სტამბოლიდან არკვევდა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრის რეჯებ ტაიპ ერდოღანის განცხადებით, არამუსლიმი საზოგადოებისთვის ქონების უკან დაბრუნება, ეს არის მათ წინააღმდეგ დაშვებული შეცდომის გამოსწორება. ამის შესახებ ერდოღანმა კვირას, თურქეთში მცხოვრები ქრისტიანი და ებრაელი ლიდერებისთვის გამართულ სადილზე განაცხადა.

მისი თქმით, ის დრო, როდესაც განსხვავებული რელიგიის და ეთნიკური წარმომავლობის თურქი მოქალაქეები იდევნებოდნენ, წარსულს ჩაბარდა და ეს ნაბიჯი უბრალოდ უსამართლობის გამოსწორებაა.

ასობით ერთეული ქონება, რომელიც დაბრუნებას ექვემდებარება, მოიცავს ეკლესიებს, სასაფლაოებს, სინაგოგებს და სკოლებს. თუკი, რომელიმე მათგანი უკვე მესამე მხარეზეა გაყიდული, ამ შემთხვევაში სახელმწიფო იღებს ვალდებულებას ფულადი თანხით აუნაზღაუროს მფლობელს შენობის საფასური.

ამ ქონების დიდი ნაწილი 1936 წლებშია ჩამორთმეული, როდესაც არამუსლიმებს საკუთრების ქონა აეკრძალათ. სტამბოლის მთავარი რაბინი იშაკ ჰალევა ანკარას ამ გადაწყვეტილებას მიესალმება:

„ეს ისტორიული დღეა და ამისთვის ღმერთს მადლობას ვწირავთ“.



თურქეთის ტერიტორიაზე არამუსლიმი თემის ცხოვრება ათასწლეულს ითვლის. კონსტანტინოპილი, ახლანდელი სტამბოლი ქრისტიანობის ცენტრი იყო. ახლაც, ეს ქალაქი მართლმადიდებელი სარწმუნოების ცენტრად ითვლება. თუმცა ქრისტიანები აქ წლების მანძილზე იდევნებოდნენ.

პოლიტიკის ანალიტიკოსი ჩინგიზ აქტარი ამბობს, რომ საკუთრების დაბრუნებას არამუსლიმთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია:

— ეს ხელისუფლების მხრიდან უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია. ეს არის გადაწყვეტილება, რომელმაც 75 წლის მანძილზე არსებეული სამართალი შეცვლა, როდესაც არამუსლიმები ღიად ითვლებოდნენ უცხოელებად.

აღსანიშნავია, რომ ეს გადაწყვეტილება თურქეთს ევროპასთან ურთიერთობას გაუადვილებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თურქეთისგან ამ ნაბიჯის გადადგმას დიდი ხანია ითხოვდა. ამ სასამართლოში შეტანილი ასობით საჩივარი კვლავ განხილვის სტადიაშია. არამუსლიმთათვის საკუთრების დაბრუნება ევროკავშირის ერთერთი ძირითადი მოთხოვნაც იყო.

თუმცა, ამ გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, ანალიტიკოსი აქთარი ამბობს, რომ ამ კუთხით კიდევ ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი:

— ეს უბრალოდ დასაწყისია. აქ კიდევ ათასობით პრობლემაა. ერთერთია მაგალითად ის, რომ არამუსლიმებს შეეძლოთ გახდნენ საჯარო მოხელეები და სამოქალაქო მოსამსახურეები. ჰალკის მართლმადიდებლური სემინარიის გახსნა კიდევ სხვა საკითხია, — ამბობს აქთარი.

ჰალკის უნივერსიტეტის გახსნას თურქეთის მთავრობას როგორც ევროკავშირი ასევე შეერთებული შტატები თხოვს. თურქეთში ვიზიტის დროს ეს საკითხი სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმაც ახსენა. ოფიციალური ანკარა ჯერჯერობით უარს აცხადებს. თუმცა, ანალიტიკოსები იმედოვნებენ, რომ არამუსლიმთათვის ჩამორთმეული ქონების დაბრუნება თურქეთში რელიგიური შემწყნარებლობის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

**მედიანიუსი**

# „შავი ლომის“ სასამართლო პროცესი სექტემბრის ბოლოს გაიმართება

ფიროსმანის ტილოს „შავი ლომის“ ქართველი მფლობელის ყარამან ქუთათელაძის ადვოკატი 7 სექტემბერს მოსკოვში მიემგზავრება.

როგორც „მედიანიუსს“ ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ განუცხადა, ის მოსკოვის საქალაქო სასამართლოს საქმის ახალ დეტალებს წარუდგენს და რუსი სამართალდამცავების მიერ დალუქულ „შავ ლომსაც“ ნახავს.

მისი თქმთ, სასამართლო პროცესი ჯერ მოსკოვში შემდეგ კი თბილისში გაიმართება.

— თბილისის საქალაქო სასამართლოში პროცესი თვის მეორე ნახევარში გაიმართება, რადგან მოსამართლე შვებულებიდან 18 სექტემბერს გამოდის. მანამდე კი პროცესი მოსკოვის საქალაქო სასამართლოში გაიმართება, — განაცხადა გაბუნიამ.



შეგახსენებთ, რომ დიმიტრი გაბუნია მოსკოვში ივლისის თვეშიც იმყოფებოდა, სადაც რუს კოლეგებს შეხვდა და დამატებით მტკიცებულებები გააცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ბათილად ჩაითვლება ის ხელშეკრულება, რომლის საშუალებითაც ტილო გასხვისდა. ხოლო მოსკოვის საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილება "შავ ლომს" აუქციონზე გატანისა და გასხვისებისგან დაიცავს.

ცნობისათვის: ყარამან ქუთათელაძის ადვოკატმა თბილისის საქალაქო სასამართლოში 26 აპრილს სარჩელის შეტანის პარალელურად პროკურატურაში საჩივარი შეიტანა, სადაც ტილოს ამჟამინდელ რუს მფლობელ ვიაჩესლავ ეფიმოვს თაღლითობაში ადანაშაულებს.

დაკარგულად მიჩნეული, ფიროსმანის ,,შავი ლომი,, წელს რუსეთში ერთ-ერთ გალერეაში გამოფინეს, რაც ქართულმა მხარემ გააპროტესტა, თუმცა მოგვიანებით, მისმა ამჟამინდელმა მფლობელმა ეფიმოვმა მედიას წარუდგინა საბუთები, რომელზეც ნახატის მფლობელის ყარამან ქუთათელაძის ხელმოწერა იყო. დოკუმენტი ეფიმოვს უფლებას აძლევდა, ტილო საქართველოდან გაეტანა.

ფიროსმანის ტილო ამ დროისათვის მოსკოვშია და სასამართლო პროცესების დასრულებამდე სამართალდამცავების მიერ არის დალუქული.

**მედიანიუსი**

# ქუთაისში ახალი სკვერი გაიხსნა

ქალაქის ცენტრის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ქუთაისში გუშინ ახალი სკვერი გაიხსნა.

რეაბილიტირებული ხელოვანთა დასასვენებელი პარკი იაკობ ნიკოლაძის სახელს ატარებს, რომელიც ქუთაისში დაიბადა.

ცნობილი ქართველი მოქანდაკის, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებლის სახელს, გარდა მისი პორტრეტულ-სკულპტურული ნამუშევრებისა, ქალაქის ცენტრში რამდენიმე ისტორიული შენობის იერსახის მოპირკეთება უკავშირდება.

სკვერი იმერეთის გუბერნატორმა ლაშა მაქაცარიამ ქუთაისის შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად გახსნა.

არსებულ ტერიტორიაზე დაჭაობებული ადგილის ამოშრობა მოხდა. სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2 თვის მანძილზე მიმდინარეობდა, თანხა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო. სკვერის რეაბილიტაციისთვის 110 000 ლარი დაიხარჯა.

სკვერში ახალი ნარგავები გაშენდა. დამონტაჟდა თანამედროვე განათება, დეკორატიული აუზი და ჩანჩქერი.

**ინტერპრესნიუსი**

# სამთაწყაროელი მევენახეები რთველის დაწყებაზე უარს ამბობენ

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში მცხოვრები მევენახეები რთველის დაწყებაზე უარს ამბობენ. რთველის საკოორდინაციო შტაბიდან მათ წნორის ღვინის ქარხანაში საფერავის 65 თეთრად ჩაბარება შესთავაზეს, რასაც გლეხები არ აპირებენ, — აცნობეს „მედიანიუსს“ მევენახეებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.



— წელს სარწყავი წყალი არ მოგვცეს. ალაზნიდან პომპებით მოვრწყეთ ვენახები. ერთი მორწყვა 500-600 ლარი დაგვიჯდა. წამლობამ დაახლოებით 1300-1400 ლარი წაიღო, მოხვნამ 300 ლარი. 2000 ლარზე მეტი დახარჯული გვაქვს და არაფერი გვრჩება. ფიზიკურ შრომაზე აღარაფერს ვამბობთ. 65 თეთრად რომ ჩავაბაროთ, ზარალით ვამთავრებთ. 250 ლარს მარტო მანქანა ითხოვს აქედან წნორამდე ყურძნის წასაღებად. ფასებს ხომ მაინც მთავრობა განსაზღვრავს და 10 თეთრით მაინც გაზარდონ, — აღნიშნეს მევენახეებმა.

კახეთში ყურძენი ყველაზე ადრე დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში იწევა.

**მედიანიუსი**

# სურსათის უვნებლობის სამსახური „ჯიმარტში“ რეიდს ატარებს

სურსათის უვნებლობის ეროვნულმა სააგენტომ სურსათის მწარმოებელი და დისტრიბუტორი საწარმოების შემოწმება დაიწყო.

ამჯერად სურსათის ხარისხის მაკონტროლებელი ორგანო დაუგეგმავ რეიდს სუპრმარკეტების ქსელ „ჯიმარტში“ ახორციელებს.

სურსათის უვნებლობის სააგენტოს ცნობით, ინსპექტორები სუპერმარკეტში ამოწმებენ როგორც პროდუქციის ვარგისიანობას, ისე სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას.

ინსპექტირება ხორციელდება ასევე ჯიმარტის„ საცხობსა და საკონდიტროშიც. შემოწმების შედეგები კონტროლის დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

**მედიანიუსი**

# დავით ონოფრიშვილი: შემოდგომაზე ინფლაცია მოიმატებს

პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი აცხადებს, რომ საქართველოში შემოდგომიდან ინფლაციის მაჩვენებელი გაიზრდება.



როგორც მან „მედიანიუსს“ განუცხადა, ტრადიციულად, ზაფხულში ინფლაცია წლის დანარჩენ სეზონებთან შედარებით ნაკლებია, რადგან ივლის-აგვისტოში და ნაწილობრივ, სექტემბერში საკვები პროდუქტები ჯერ კიდევ იწარმოება, სოფლის მეურნეობის პროდუქცია მეტია და საკვების ფასები კლებულობს.

— მათი სიმცირე შემოდგომიდან არის მოსალოდნელი და საქართველოს ბაზარი, ძირითადად, საიმპორტო პროდუქციაზე იქნება დამოკიდებული. ეს კი ინფლაციურ პროცესებზე იმოქმედებს. ამის განმაპირობებელი მეორე ფაქტორი ისაა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მაღალი რჩება და ხარჯები, როგორც წესი, ტრანსპარანტული არ არის. ხშირად დაუგეგმავი ხარჯების გაწევა ხდება, რაც წლის ბოლოსკენ ინფლაციაზე კიდევ ერთხელ იმოქმედებს, — აღნიშნა დავით ონოფრიშვილმა.

მისი პროგნოზით, წლის ბოლოსკენ ინფლაცია კვლავ მოიმატებს და ორნიშნა მაჩვენებელს გაუტოლდება. ინფლაცია, მინიმუმ, 10-12 პროცენტი იქნება. დავით ონოფრიშვილი აქვე ხაზს იმ გარემოებასაც უსვამს, რომ ინფლაციის შესამცირებლად მთავრობამ სათანადო ზომები არ გაატარა.

**მედიანიუსი**

# საქართველოსა და უკრაინას შორის საბაჟო პროცედურები მარტივდება

გუშინ საქართველოს შემოსავლებისა სამსახურსა და უკრაინის საბაჟო სამსახურს შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც საქართველოსა და უკრაინას შორის საბაჟო პროცედურები გამარტივებას ითვალისწინებს.



მემორამდუმს ხელი მოაწერე საქართველოს შემოსავლების სამსახურის უფროსმა ჯაბა ებანოიძემ და უკრაინის საბაჟო სამსახურის თავჯდომარემ იგორ კალეტნიკმა.

მემორანდუმი ერთობლივი სამოქმედო გეგმის შემუშავებას გულისხმობს, რომლითაც პარტნიორი ქვეყნები სამართლებრივ საკითხებს დაარეგულირებენ, ასევე გაცვლიან საჭირო ინფორმაციას.

იგორ კალეტნიკი ჯაბა ებანოიძესთან ერთად სავაჭრო პალატის წევრებსაც შეხვდა. მათ საქართველოს საბაჟო სექტორში განხორციელებულ პროექტებსა და სიახლეებზე ისაუბრეს და ქვეყნებს შორის ექსპორტის გაზრდის პერსპექტივებიც განიხილეს.

**მედიანიუსი**

# პროფკავშირისა და სამოქალაქო საზოგადოების შეხვედრა გაიმართა

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ოფისში გუშინ შ.პ.ს. „ევრაზიანსთილსის“ გათავისუფლებული თანამშრომლები, საგაფიცვო კომიტეტის წარმომადგენლები, ქარხნის პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის, მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის, საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების ხელმძღვანელები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

როგორც „მედიანიუსს“ გაერთიანებული პროფკავშირებიდან აცნობეს, შეხვედრის თემა იყო საქართველოში პროფკავშირული მოძრაობის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა; დისკრიმინაციული დამოკიდებულება პროფკავშირელი აქტივისტებისადმი; „ევრაზიანსთისლში“ მიმდინარე პროცესები და საგაფიცვო ღონისძიებები; პროფკავშირების სხვადასხვა სექტორში, რკინიგზაში, განათლებაში, სხვა დარგებში, შექმნილი ვითარება.

პროფკავშირების ხელმძღვანელებმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გააცნეს დეტალური ინფორმაცია მათთვის საინტერესო ყველა საკითხთან დაკავშირებით. სტუმრების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ქარხანაში დასაქმებულთა შრომის პირობებმა; ამასთან დაკავშირებით, სამმხრივი სახელმწიფო კომისიისა და მთავრობის რეაგირებამ; გაფიცვის დეტალებმა; პროფკავშირის წევრების დისკრიმინაციის ფაქტებმა; სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული ადამიანების საქმეების განხილვამ სასამართლო ხელისუფლების მიერ; პროფკავშირების წინააღმდეგ გაშლილმა კამპანიამ.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოხატეს მხარდაჭერა პროფკავშირების მიერ სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებისთვის წარმოებული ბრძოლისადმი და „ევრაზიანსთილსის“ გათავისუფლებულ თანამშრომლებს თანადგომა აღუთქვეს.

**მედიანიუსი**

# რატომ სდებს ტალიავინი ზვიად გამსახურდიას ბრალს

**ტალიავინის კომისიის დასკვნაში საბჭოთა კავშირის ნგრევის პროცესში საქართველოს ტერიტორიაზე წარმოშობილი კონფლიქტების გამომწვევად საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაა გამოცხადებული.**

**დოკუმენტში არსებული ჩანაწერით რუსეთი მხოლოდ სეპარატისტთა მხარდამჭერადაა გამოცხადებული, საქართველო და მისი ხელისუფლებები კი დადანაშაულებულია კონფლიქტის გაღვივებაში. საერთოდ, ისტორიული სიმართლე უგულებელყოფილია, მაშინ როცა, ფაქტობრივად, საქართველოს ტერიტორიების ხარჯზე რუსეთი თავის იმპერიას აფართოებს. ისტორიული სიმართლის დადგენასა და ამ საკითხში სინათლის შეტანა, ალბათ, ტალიავინის კომისიის მუშაობის პერიოდში საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო, მაგრამ უცნობია, ეს რატომ არ გააკეთა. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, შეუძლებელია, საქართველოს კეთილმოსურნე ზვიად გამსახურდიას საქართველოსთვის მისი რომელიმე რეგიონის ჩამოცილებისთვის ებრძოლა, მით უმეტეს, იქ კონფლიქტების გაჩაღება სდომებოდა.**

**ყოფილი დეპუტატი, ტარიელ ფუტკარაძე აცხადებს, რომ „ტალიავინის კომისიის დასკვნაში ბევრია არაობიექტური და არასწორი შეფასება. მათ შორის ერთ-ერთია 1991-93 წლების მოვლენების შეფასება“.**


ტარიელ ფუტკარაძე

გულიკო ბალა ე

— ტალიავინის დასკვნის ეს ეპიზოდი აბსოლუტურად იმეორებს რუსულ ხედვას, ანუ რუსეთის იმპერიის ხედვას. ზვიად გამსახურდიასა და ქართულ ეროვნულ მოძრაობას არ დაუწყია არც აფხაზებისა და არც ოსების შევიწროება. ქართველ საზოგადოებაში გარკვეული უკმაყოფილებები მას შემდეგ წარმოიშვა ამ რეგიონებში მცხოვრები ზოგიერთი ჯგუფის მიმართ, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კრემლიდან მართულმა ამ ჯგუფებმა დაიწყეს აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საქართველოსაგან გამოყოფასა და რუსეთთან შეერთებაზე საუბარი. ეს კარგადაა გამოკვლეული გენპროკურატურის გამოძიების მასალებში , საიდანაც კარგად ჩანს, რომ არც ზვიად გამსახურდიას და არც ზოგადად ქართველებს არანაირად არ დაუწყიათ აფხაზებისა და ოსების შევიწროება. პირიქით, როცა აფხაზებისა და ოსების ერთმა ნაწილმა კრემლის წაქეზებით საქართველოს წინააღმდეგ მოძრაობა დაიწყო, გამოაცხადეს საქართველოსაგან გამოყოფის თაობაზე, ამის შემდეგ ზვიად გამსახურდიას არ დარჩა სხვა გზა, გაეფრთხილებინა გარკვეული ჯგუფები, რომ საქართველოს ერთგული ყოფილიყვნენ და საქართველოს შემადგენლობაში ბედნიერად ეცხოვრათ. ტალიავინის დასკვნაში კი ყველაფერი უკუღმა წერია, რაც სიტუაციის შეფასების რუსული, გაყალბებული ვარიანტია, — ამბობს იგი.

***— დასკვნაში საუბარია „ეთნონაციონალიზმსა და „ეთნოცენტრული ლოზუნგის — „საქართველო ქართველებისთვის“ წამოყენებაზე...***

— ტერმინ „ეთნონაციონალიზმის“ ფაბრიკაციითა და ეთნოცენტრიზმის დაბრალებით მტერმა მიჩქმალა თავისი როლი და მის მიერ გადადგმული ნაბიჯები საქართველოს წინააღმდეგ. აბსოლუტურად ყველა მხრივ დაფიქსირებულია და პუტჩის მონაწილეებაც აშკარად თქვეს, რომ (დღევანდელი ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლებიც წერენ — ერთ-ერთი ინტერვიუ ცოტა ხნის წინაც დაიბეჭდა), რომ გამსახურდია დაამხეს გრუ-ს ხელმძღვანელობით მოქმედმა რუსულმა სპეცრაზმმა, რუსულმა ჯარმა და ქართველმა კრიმინალებმა. 1991-93 წლები იყო რუსეთ-საქართველოს ომის პირველი ეტაპი, თუმცა, რატომღაც ეს მოვლენები დღემდე ფიქსირდება ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებად და სამოქალაქო ომად. ეთნონაციონალიზმის ბრალდებას ერთნაირად უყენებენ როგორც რუსი იმპერიალისტები, ასევე ქართველი ფსევდოლიბერალები. ტალიავინის მიერ ამგვარი კვალიფიკაციები რუსული სცენარის გაზიარებაა. ვისაც ხელი მიუწვდება საარქივო თუ საინტერნეტო დოკუმენტების მოძიებასა და იმდროინდელ პრესაზე, უამრავ ინფორმაციას მიიღებს, რომლებიც დაიბეჭდა პუტჩის მონაწილეების მიერ რუსეთშიც და საქართველოშიც, საიდანაც აშკარაა, რომ ეს იყო რუსეთ-საქართველოს ომი და არა სამოქალაქო ომი. სხვათა შორის, დღემდე ძალიან კარგად ცხოვრობენ აფხაზები თბილისშიც და აჭარაშიც. ისინი არავის შეუწუხებია. ოსების ორი მესამედი მაშინაც ცხოვრობდა და ახლაც ცხოვრობს ცხინვალის რეგიონის გარეთ, თბილისსა და ქართლის სხვადასხვა რაიონში. არანაირი ეთნოკონფლიქტი საქართველოში არ ყოფილა და არც იქნება. ჩვენთან იყო რუსეთ-საქართველოს ომი, რომელიც მტერმა სამოქალაქო ომად და ქართულ-აფხაზურ, ქართულ-ოსურ ომებად მონათლა. ამ არასწორ შეფასებასა და ფალსიფიკაციას სიტყვასიტყვით იმეორებს ტალიავინი.

***— შეეძლო თუ არა საქართველოს ხელისუფლებას, ტალიავინისთვის გაექარწყლებინა რუსებისაგან მიღებული ეს ინფორმაცია?***

— საქართველოს ხელისუფლებას ამის გაკეთება შეეძლო, თუნდაც საერთაშორისო კომისიისთვის პროკურატურაში არსებული დოკუმენტური მასალების წარდგენით, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ გამსახურდიას არ დაუწყია კონფლიქტი არც ოსებთან არც აფხაზებთან. პროკურატურის გამოძიების მასალებიდან იკვეთება, რომ ყველაფერი მოსკოვიდან იყო მართული. მე, როგორც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ 1991-93 წლების მოვლენების გამოძიებასთან დაკავშირებით შექმნილი სახელმწიფო კომისიის წევრმა, ვიცი, რა მასალები დევს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, რომლის ტალიავინის კომისიისთვის წარდგენა ბევრ რამეს შეცვლიდა. როგორც 1990 წლის მოწვევის საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ვითხოვ, 1991-93 წლების რუსეთისაგან ინსპირირებული გადატრიალება და პუტჩი და აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები შეფასდეს რუსეთ-საქართველოს ომად, რუსეთის აგრესიად საქართველოს წინააღმდეგ.

***— ტალიავინის დასკვნაში წერია, რომ „ყველა მხრიდან წამოსულმა ნაციონალიზმმა და ზოგ შემთხვევაში შოვინიზმმაც კი საეჭვო პოლიტიკურ ქმედებებთან ერთად კიდევ უფრო მეტი დაძაბულობა გამოიწვია“. რა საეჭვო პოლიტიკურ ქმედებებს შეიძლება გულისხმობდნენ ან რა შოვინიზმზეა საუბარი?***

— მე იმ მოვლენების მომსწრე ვარ და ვიცი, რომ ქართველებს არანაირი შოვინიზმი არ ახასიათებთ. უბრალოდ, იმ პერიოდში კონფლიქტის პროვოცირება მოხდა კრემლიდან. კრემლიდან მართულმა კლანებმა ცხინვალში გამოაცხადეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ხოლო მოსკოვიდან მართულმა ვლადისლავ არძინბას კლანმა გამოაცხადა აფხაზეთის დამოუკიდებლობა, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოში კრემლისაგან ინსპირირებული პროცესები დაიწყო. ქართველებს ჰქონდათ ბუნებრივი რეაქცია. ტალიავინის კომისიას არანაირი დოკუმენტი არ გააჩნია წარმოდგენილი თვალსაზრისის დასადასტურებლად. კრემლისაგან მართული აფხაზი და ოსი კლანების ანტიქართული მოქმედების ფონზე საქართველოში შეიძლება მათ მიმართ გაჩნდა მკაცრი გამონათქვამები, მაგრამ ეს არ განზოგადებულა და არ გადაქცეულა აფხაზებისა და ოსების შემავიწროებელ მოძრაობად. კარგად ვიცი, რომ არც ერთი ფაქტი არ არსებობს იმ პერიოდში ქართველებსა და აფხაზებს შორის ან ქართველებსა და ოსებს შორის ეთნიკური დაპირისპირებისა. იმ პერიოდში ოსების ნაწილი თბილისში ცხოვრობდა აქედან აფრთხილებდა ოსებს ცხინვალში, რომ არ დაპირისპირებოდნენ ქართველებს. ასეა დღემდე — ოსების ნაწილი დღესაც მართულია რუსებისაგან, ხოლო ნაწილი დღესაც თბილისშია და გადარჩენას საქართველოსთან ურთიერთობაში ხედავს. ასევე აფხაზების დიდი ნაწილი კარგად გრძნობს, რომ რუსეთის იმპერიაში მათ განადგურება ელით. ისინი ამას მაშინაც ხედავდნენ, მაგრამ ჩვენ იმ პერიოდში არ გვქონდა საერთაშორისო მხარდაჭერა და საინფორმაციო ომის წარმოების საშუალებები. მაშინ სხვა დრო იყო და, რაც მთავარია, იმ პერიოდში საქართველოს ბედი გადაწყვიტა საერთაშორისო პოლიტიკამ. დასავლეთმა მაშინ რუსეთისაგან მიიღო აღმოსავლეთ ევროპა და ბალტიის ქვეყნები, ხოლო კავკასია, შუა აზია, უკრაინა და ბელორუსია რუსეთის ველში დატოვა. რუსეთის ველში დარჩენილ კავკასიაში რუსმა გააკეთა ყველაფერი ის, რაც მას უნდოდა.

## ზაალ ჩიქობავა: „გადაწყვეტილება თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით შეჩერებულია“


ზაალ ჩიქობავა

რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე ჯერჯერობით არავის დანიშვნას არ აპირებენ, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თეატრის მმართველმა ზაალ ჩიქობავამ განუცხადა.

მისი თქმით, გადაწყვეტილება თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით ჯერჯერობით შეჩერებულია.

თეატრის მმართველის ინფორმაციით, თანამდებობის საერთოდ გაუქმებაზე მსჯელობა არ მიმდინარეობს.

როგორც ზაალ ჩიქობავა აცხადებს, რობერტ სტურუას სეზონზე ორი სპექტაკლის დადგმა შესთავაზა, თუმცა მისგან არც დადებითი და არც უარყოფითი პასუხი ამ დრომდე არ მიუღია.

— იგი გაემგზავრა ფესტივალზე და თქვა, როდესაც ჩამოვალ შემდეგ გადავწყვიტოთ ეს საკითხიო. იმაზე, რომ აღადგინოს თავისი სპექტაკლები და სეზონი მისი პრემიერით გაიხსნას, თანხმობა მიღებული მაქვს, — აღნიშნა ჩიქობავამ.

ამასთან, გაზეთ „24 საათში“ დაიბეჭდა კულტურის მინისტრ ნიკა რურუას ინტერვიუ, რომელშიც მინისტრი აცხადებს, რომ არ არის დარწმუნებული, რომ სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობა ვინმემ უნდა დაიკავოს.

— კანონით ეს არ არის აუცილებელი. კანონში წერია, რომ თეატრს შეიძლება ჰყავდეს სამხატვრო ხელმძღვანელი. „შეიძლება ჰყავდეს“ ნიშნავს, რომ შეიძლება არ ჰყავდეს. ჯერ არ არის შესაფერისი კანდიდატი, რომელსაც იმაზე უკეთესი ხედვა ექნება, რაც ბატონ სტურუას ჰქონდა... თუმცა, მისი ხედვა ჩემთვის უცნობია, რადგან ამ მხრიც ბოლო წლების განმავლობაში პასიურობდა. სტატისტიკურად, რუსთაველის თეატრი სტურუას ხელმძღვანელობისას ყველაზე დაბალი პროდუქტიულობით გამოირჩეოდა, — აცხადებს კულტურის მინისტრი.

რობერტ სტურუა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. 9 აგვისტოს გამოცემულ ბრძანებას ხელს აწერს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკა რურუა.

ნიკა რურუას განცხადებით, რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობიდან მის მიერ გამოთქმული "ეთნიკური მეტაფორების" გამო გათავისუფლდა.

**ინტერპრესნიუსი**

## ქდმ ბათუმში კონფერენცია გაიმართავს

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ორგანიზებით კიდევ ერთი საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება.

„სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკა“, ამ სახელწოდებით კონფერენცია ხვალიდან ბათუმში დაიწყება და მასში მონაწილეობას 8 ქვეყნის 30-მდე წარმომადგენელი მიიღებს. მოძრაობის თავმჯდომარე გიორგი თარგამაძის განცხადებით, ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში საზოგადოების და, კონკრეტულად, სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

— პოლიტიკური კლასისა და სამოქალაქო საზოგადოების ტანდემის თანამშრომლობას დემოკრატიის მიღწევის საქმეში ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპაში და, შედეგად, სახეზე მივიღეთ იმგვარი სახელმწიფოები, რომელთა მოდელი დღეს პრეცედენტული და სამაგალითოა. ამ კონტექსტში, განვითარების გზაზე მდგარი ქვეყნებისთვის, ეს კონფერენცია უმნიშვნელოვანესია, რადგან ბევრ აქტუალურ თემაზე მსჯელობას ვაპი-


გიორგი თარგამაძე

რებთ ჩვენს პარტნიორ ქრისტიან-დემოკრატებთან ერთად, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპიდან, — აცხადებს გიორგი თარგამაძე.

ოთხდღიანი კონფერენცია „სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკა“ ხვალ, სასტუმრო „სანაპიროში“ დაიწყება და მასში მონაწილეობას ჰოლანდიის, უნგრეთის, ლიტვის, უკრაინის, ბელორუსის, რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები მიიღებენ. **ინტერპრესნიუსი**

## შსს-ს აკადემიაში კიბერდანაშაულის გამოძიების შესახებ ტრენინგი მიმდინარეობს

2011 წლის 29 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით შსს აკადემიაში კიბერდანაშაულის გამოძიების შესახებ ტრენინგი მიმდინარეობს.

შსს-ს აკადემიის ცნობით, ტრეინინგი ორგანიზებულია აშშ საელჩოს მიერ. სწავლებას უძღვებიან აშშ-დან მოწვეული ექსპერტები.

კურსზე განიხილება ისეთი საკითხები, როგორებიცაა ქსელები და ქსელების უსაფრთხოების მიმოხილვა, კომპიუტერში უკანონო შეჭრის საშუალებები, კომპიუტერის მეხსიერება და შესაბამისი რეაგირება, სარეგისტრაციო ფაილები, მოპოვება, ადგილმდებარეობა და მოპოვება, ინციდენტზე რეაგირება და სხვ. კურსი მოიცავს პრაქტიკულ მეცადინეობებსაც.

მომზადებას გადიან შსს აკადემიის ინსტრუქტორები, შსს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის, შსს ადმინისტრაციის, კრიმინალური პოლიციის, სამხარეო სამმართველოების წარმომადგენლები. ასევე ფინანსური პოლიციისა და ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს წარმომადგენლები.

აღნიშნული ტრეინინგის საბაზისო კურსი შსს აკადემიაში მიმდინარე წლის 5-15 აპრილს ჩატარდა. **ინტერპრესნიუსი**

## ექსპერტიზის ბიურომ კიდევ ერთი ულტრათანამედროვე აპარატი შეიძინა

ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ კიდევ ერთი ულტრათანამედროვე აპარატი შეიძინა.

ბიუროს ინფორმაციით, უახლესი აპარატი ჩეხური კომპანიისგან შეიძინეს და მისი სისტემა გამოიყენება შედარებითი კვლევისთვის, არქივის შექმნისთვის 23 და 33 (სამ განზომილებაში) გადაღებისთვის, სხვადასხვა ობიექტების გამოკვლევა და სკანირებისთვის (მონეტები, ქაღალდის ზედაპირი, პლასტიკები, ხელმოწერები და ა.შ). ასევე შესაძლებელია შტრიხების დატანის თანმიმდევრობის დადგენა, გარდა ამისა, იგი აგრეთვე გამოიყენება ტრასოლოგიაშიც. ის ერთ-ერთი უახლესი, ულტრათანამედროვე აპარატურაა, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია და პოსტსაბჭოურ სივრცეში, მხოლოდ საქართველოში, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროშია დამონტაჟებული. **ინტერპრესნიუსი**

## თელავში „მრეწველების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვასილ არაბული იქნება


ზურაბ ტყემალაძე

პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ თავმჯდომარის ზურაბ ტყემელაძის განცხადებით, თელავის საარჩევნო ოლქში მათი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვასილ არაბული იქნება. არაბული თელავის საკრებულოს წევრია.

ტყემალაძის თქმით, საარჩევნო კომისიას კანდიდატის დასარეგისტრირებლად დღეს მიმართავენ, კანდიდატს კი ამომრჩეველს მომავალ კვირაში წარუდგენენ.

პარლამენტის შუალედურ არჩევნებში, რომელიც 2 ოქტომბერს უნდა გაიმართოს, სამი პოლიტიკური პარტია მიიღებს მონაწილეობას — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“.

ქრისტიან-დემოკრატებიდან კენჭს პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ნიკოლოზ ლაშხი იყრის; ნაციონალებიდან კი თელავის ყოფილი გამგებელი ვასილ დავითაშვილი. **მედიანიუსი**

# ნინო ანანიაშვილი ქველმოქმედებაში ჩაერთო

ეკა ირემაშვილი

ქართული საბალეტო დასის ისტორიაში პირველად ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასმა სპექტაკლები ფოთსა და ქუთაისში გამართა.

ორივე წარმოდგენაში მონაწილეობას საბალეტო დასის ხელმძღვანელი პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილი იღებდა. ორივე ქალაქში ჩატარებული წარმოდგენები კი საქველმოქმედო იყო.

საბალეტო დასმა ქუთაისში საკუთარი წარმოდგენები ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის სახელმწიფო თეატრში წარმოადგინა. მოცეკვავეებმა თანამედროვე ბალეტი „საგალობელი“ იცეკვეს, ხოლო პრიმა ბალერინამ ნინო ანანიაშვილმა ქუთაისელი მაყურებლისთვის ჩაიკოვსკის უკვდავი ბალეტიდან „გედების ტბიდან“ მომაკვდავი გედის პარტია შეუსრულა.


ნინო ანანიაშვილი

ნინო ანანიაშვილთან ერთად თბილისის საბალეტო თეატრის დასმა თანამედროვე სპექტაკლ „საგალობელშიც“ იცეკვა. ნინო ანანიაშვილმა განახლებული ქუთაისის ოპერის თეატრში პირველად იცეკვა. პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი მაყურებელმა სცენაზე რამდენჯერმე დააბრუნა. ანანიაშვილის მომაკვდავი გედი, ნაწყვეტები კლასიკური ბალეტებიდან, თანამედროვე ქორეოგრაფების ცეკვები და ერთმოქმედებიანი ბალეტი „საგალობელი“ ქართულ მელოდიებზე, — საათნახევრიანი საბალეტო კონცერტი ქუთაისში იმერეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის მხარდაჭერით მოეწყო.

ქუთაისამდე საბალეტო დასი ფოთს ესტუმრა და ქალაქის დღეების ფარგლებში ფოთის თეატრში წარმოდგენა გამართა. ნინო ანანიაშვილმა და ქართულმა საბალეტო დასმა ფოთში ქალაქის ცენტრალურ მოედანზე სპეციალურად მოწყობილ სცენაზე ორგანყოფილებიანი პროგრამა წარადგინა. ნინო ანანიაშვილი მაყურებელმა სცენაზე ორჯერ დააბრუნა. საბალეტო დასმა ფოთში შეკრებილი მაყურებლისთვის იცეკვა ნაწყვეტები კლასიკური ბალეტებიდან, თანამედროვე ქორეოგრაფების ცეკვები და ერთმოქმედებიანი ბალეტი „საგალობელი“ ქართულ მელოდიებზე. ფოთში კონცერტი 2 საათს გაგრძელდა.

— პირველად ქართული საბალეტო დასის ისტორიაში ჩვენმა დასმა ღია ცის ქვეშ იცეკვა. ფოთიც და ქუთაისიც არაჩვეულებრივი ქალაქებია. მიხარია, რომ მოგვეცა შანსი, ჩვენი 7-წლიანი მუშაობის შედეგი საქართველოს რეგიონებშიც წარმოგვეჩინა. ჩემი ოცნება იყო, საბალეტო დასს თავისი სპექტაკლები საქართველოს რეგიონებშიც ეცეკვა და ეს ოცნებაც ახდა, — განაცხადა ნინო ანანიაშვილმა.

როგორც ნინო ანანიაშვილმა გაამხილა, საბალეტო დასის გამოსვლები საქართველოს რეგიონებში მომავალშიც გაგრძელდება. უკვე ცნობილია, რომ ქართული საბალეტო დასი ფოთს ისევ ეწვევა და ამჯერად უკვე ფოთის თეატრის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე იცეკვებს.

# რობერტ სტურუას „შეილოკი“ ფესტივალს გახსნის

ეკა ირემაშვილი

**ქართველი რეჟისორის რობერტ სტურუას მიერ დადგმული სპექტაკლი „შეილოკი“ ოდესაში რუსული თეატრების საერთაშორისო ფესტივალს გახსნის.**

ფესტივალი ორი დღის განმავლობაში 3 და 4 სექტემბერს გაიმართება. უილიამ შექსპირის პიესის მიხედვით რობერტ სტურუამ „შეილოკი“ მოსკოვის თეატრ „ეტ სეტერაში“ დადგა, რომლის ხელმძღვანელიც ალექსანდრ კალიაგინია.

რუსული თეატრების საერთაშორისო ფესტივალს სახელწოდებით „შეხვედრები ოდესაში“ თავად რეჟისორი რობერტ სტურუაც დაესწრება. სპექტაკლში მთავარ როლს თავად თეატრის ხელმძღვანელი ალექსანდრ კალიაგინი ასრულებს. სტურუას მიერ დადგმული „შეილოკი“ თეატ „ეტ სეტერას“ რეპერტუარში ერთ-ერთ საუკეთესო წარმოდგენად არის მიჩნეული.

ქართველი რეჟისორის მიერ დადგმულ სპექტაკლს უკვე აქვს მიღებული მონაწილეობა სხვადასხვა პრესტიჟულ თეატრალურ ფესტივალში. როგორც რუსული სააგენტო „რია ნოვოსტი“ იუწყება, 2009 წელს სტურუასეულმა „შეილოკმა“ ერევანში შექსპირის საერთაშორისო ფესტივალი გახსნა და დიდი წარმატებაც მოიპოვა.

მანამდე, სანამ რობერტ სტურუა რუსეთში საკუთარი სპექტაკლის წარმატებებს გაიზიარებს, საქართველოში, რუსთაველის თეატრის წინ თეატრის დასმა თავის გულშემატკივრებს პაემანი დაუნიშნა, რობერტ სტურუას სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან მოხსნა კიდევ ერთხელ გააპროტესტა და თეატრის სამომავლო გეგმები გააცნო.

რობერტ სტურუას გათავისუფლება კულტურის სფეროს წარმომადგენლებმა რუსთაველის თეატრის წინ კიდევ ერთხელ გააპროტესტეს. თეატრის შენობასთან მსახიობები და საზოგადო მოღვაწეები შეიკრიბნენ, რის გამოც რუსთაველის გამზირი გადაიკეტა.

როგორც მსახიობმა ჟანრი ლოლაშვილმა განაცხადა, მსახიობები ხელისუფლებას სცენიდან უნდა ელაპარაკებოდნენ და მათ აქციაზე დგომა არ უნდა უწევდეთ, თუმცა სხვა გზა არ დარჩათ.


ჟანრი ლოლაშვილი

— ჩვენ, მსახიობები, სცენიდან უნდა ველაპარაკებოდეთ მათ, თუმცა ისინი რეგვენები არიან და ვერ იგებენ. აქედან გამომდინარე, აქ გვიწევს შეკრება, თუმცა მე უფრო მეტ ხალხს ველოდებოდი, — განაცხადა მსახიობმა.

რუსთაველის თეატრის წინ მოეწყო პერფორმანსი, რომელიც ასახავდა სიტუაციას, თუ როგორ დგამს სპექტაკლს რობერტ სტურუა. მანეკენს, რომელიც რობერტ სტურუას წააგავდა, ეცვა მაისური, რომლის წინა მხარეს გამოსახული იყო რეჟისორის ფოტო წარწერით „მომხსნეს“, ხოლო უკანა მხარეს — კულტურის მინისტრის 9 აგვისტოს ბრძანება რობერტ სტურუას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. რუსთაველის თეატრის მსახიობებმა თეატრალიზებულ აქციაზე ასეთივე მაისურები ჩაიცვეს.

კულტურის სფეროს წარმომადგენლებმა შეკრებას პირობითად სახელწოდებაც შეურჩიეს და „პაემანი“ უწოდეს.

— ჩვენ არ გვსურს, რობერტ სტურუას მხარდამჭერმა აქციებმა განსხვავებული ხასიათი შეიძინოს. დღევანდელი პერფორმანსიც იმის წარმოჩენას ისახავდა მიზნად, რომ ჩვენი აქცია ორგანიზებულია თეატრის მსახიობების მიერ და ის მთლიანად თეატრალიზებულია, — განაცხადა თათული დოლიძემ.

„პაემანს რუსთაველზე“ მსახიობი დიმა ჯაიანი უძღვებოდა.

— რობერტ სტურუა ისევ რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია და მსახიობები თეატრში დაბრუნებას მის გარეშე არ აპირებენ. ამის მოთმენა არ შეიძლება. სტურუას სახელი ამ თეატრთან არის დაკავშირებული და ეს ყოველთვის ასე იქნება, — განაცხადა დიმა ჯაიანმა.

რობერტ სტურუას რუსთაველის თეატრში სამხატრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დაბრუნების მოთხოვნით თეატრის წინ პერფორმანსი მოეწყო. აქციის ორგანიზატორებმა შენობის კედლებზე გააკრეს სტურუას ფოტოები წარწერით — „მომხსნეს“, ასევე ტრანსპარანტი — „შეცდომაა: რობერტ სტურუა აღარ არის რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი“, სწორია — „რობერტ


დიმა ჯაიანი

სტურუა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია“. ამ მოსაზრების გამზიარებლებს აქციის ორგანიზატორებმა თანხმობის გამოხატვა ხელის მოწერით სთხოვეს. რუსთაველის თეატრის კედლებზე გამოკრული იყო რობერტ სტურუას მიერ დადგმული სპექტაკლების სათაურები და ის მცირე გამოფენის ეფექტს ტოვებდა.

— ბოლომდე მინდა ვიბრძოლო იმისთვის, რომ საქართველოში კულტურა არ მოკვდეს. როცა კულტურის დასამარება იწყება, მაშინ მას ერის გადაგვარება მოჰყვება. თუ გვინდა, შევქმნათ მომავალი, არ უნდა დავივიწყოთ წარსული. თუ წარსულს დავივიწყებთ, არც აწმყო გვექნება და არც მომავალი, — განაცხადა რუსთაველის თეატრის მსახიობმა ლევან ხურციამ.

რუსთაველის გამზირზე რობერტ სტურუას მხარდამჭერი თეატრალიზებული აქცია ცნობილი ფრაზით დასრულდა: „სიკეთე, სიკეთე, სიკეთე ვთესოთ“, რომელიც რეჟისორის მიერ დადგმულ სპექტაკლ „კავკასიურ ცარცის წრეში“ დამაგვირგვინებელი აკორდია.

რუსთაველის თეატრის დასის შეკრება პირველ სექტემბერს იყო დანიშნული, თუმცა თავად რეჟისორის რუსეთში გამგზავრებამ ეს შეხვედრა გადადო. თეატრის დასი შეკრებას რეჟისორის საქართველოში ჩამოსვლისთანავე აპირებს.

რუსთაველის თეატრის მმართველ ზაალ ჩიქობავას ინფორმაციით, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე ჯერჯერობით არავის დანიშვნას არ აპირებენ. საკითხი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით ჯერჯერობით შეჩერებულია. თანამდებობის საერთოდ გაუქმებაზე მსჯელობა არ მიმდინარეობს.

ზაალ ჩიქობავას თქმით, რობერტ სტურუას სეზონზე ორი სპექტაკლის დადგმა შესთავაზა, თუმცა მისგან არც დადებითი და არც უარყოფითი პასუხი ამ დრომდე არ მიუღია.

ამ ინფორმაციას ადასტურებს თავად რეჟისორიც და სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ წერს, რომ ნიკა რურუამ მას სეზონზე ორი სპექტაკლის დადგმა და დიდი ჰონორარი შესთავაზა. ეს ინფორმაცია კი მას რუსთაველის თეატრის „მმართველმა-მსახიობმა“ გადასცა. რეჟისორი „მმართველ-მსახიობს“ მატყუარად მოიხსენიებს.

— მიჭირს ამის თქმა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ, როგორც ყოველთვის, ჩვენი მმართველი-მსახიობი უნიჭოდ ტყუის. მინისტრის წინადადება გადმომცა: სეზონში 2 დადგმას მომცემენ, კარგ ჰონორარსაც გადამიხდიან და ამას სთავაზობენ ადამიანს, რომელიც არის არაპროფესიონალი და ჭაობში ჩაუშვა რუსთაველის თეატრი... მოკლედ, ჩვენი საუბარი ჩემი წიგნების თეატრიდან სახლში გადაზიდვის ტექნოლოგიით დამთავრდა, — წერს რობერტ სტურუა „ფეისბუქზე“.

რობერტ სტურუამ რუსთაველის თეატრში ბოლოს „ნადირობის სეზონი“ დადგა თამაზ ჭილაძის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით. როგორც რეჟისორი აღნიშნავს, „ნადირობის სეზონი“ მის შემოქმედებაში სიახლე აღმოჩნდა.

— ერთხელ ვითამაშეთ ოთარ ჭილაძის „ნადირობის სეზონი“. ვფიქრობ, სიმბოლური სახელწოდებაა. ეს სპექტაკლი ჩემს შემოქმედებაში სიახლეა. ამ წარმოდგენის შემდეგ ძალიან აფორიაქებული მაყურებელი ვნახე. უჩვეულო სპექტაკლი გამომივიდა. ერთხელ კიდევ ვნახავ, შევცვლი რაღაცებს და შევაფასებ, — განმარტავს რეჟისორი.

რუსთაველის თეატრის სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით თავად დასის პოზიცია ორად არის გაყოფილი. თეატრის დასის ნაწილი ფიქრობს, რომ რობერტ სტურუას თანამდებობიდან გათავისუფლების საპროტესტოდ დასმა მუშაობა უნდა შეწყვიტოს და სპექტაკლების დადგმაზე უარი თქვას, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას ბრძოლა სწორედ ახალი წარმოდგენების დადგმით უნდა გამოუცხადოს.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

- იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

# მუამარ კადაფის მრჩეველი ამერიკელი დევიდ უელჩი აღმოჩნდა

ნატო-სა და აშშ-ს წინააღმდეგ ბრძოლაში მუამარ კადაფის ერთ-ერთი მრჩეველი, ამერიკელი დევიდ უელჩი აღმოჩნდა.

ტელეკომპანია „ალ ჯაზირას“ ინფორმაციით, დევიდ უელჩი, რომელიც წარსულში სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის, კონდოლიზა რაისის მოადგილე იყო კადაფის რეკომენდაციებს აძლევდა, როგორ მოეგოთ საინფორმაციო ომი, არა მარტო ამობეხებულების, არამედ, ნატო-სა და აშშ-ს წინააღმდეგ. დოკუმენტები მისი მხრიდან კადაფის დახმარების თაობაზე "ალ ჯაზირას" ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს, როდესაც ლიბიის სპეც-სამსახურების შტაბ-ბინა დაათვალიერეს. შტაბ ბინაში მიმობნეულ უამრავ დოკუმენტს შორის აღმოჩნდა ჩანაწერები, სადაც საუბარია უელჩისა და კადაფის შეხვედრაზე, რომელიც 2011 წლის 2 აგვისტოს გაიმართა. უელჩი რეჟიმის მომხრეებს ურჩევდა მოეპოვებინათ ინფორმაცია ამბოხებულებისა და "ალ ქაედას" შორის კავშირზე და ეს ინფორმაცია სხვა ქვეყნების დახმარებით აშშ-სთვის გადაეცათ.


დევიდ უელჩი

გარდა ამისა, უელჩი კადაფის რეჟიმს ურჩევდა, სირიაში მომხდარი არეულობები თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ და ის როგორც ვაშინგტონის პოლიტიკის ორმაგი სტნდარტის გამოვლინება, ისე ეჩვენებინათ. შეხვდრაზე უელჩი კადაფის პირდებოდა, რომ ის მის შესახებ აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და კონგრესში "გავლენიან ხალხს" მოუყვებდა. უელჩი ამჟამად ამერიკულ სამშენებლო კომპანია Xეცჰტელ, მუშაობს. კიდევ ერთი ამერიკელი, რომელსაც კადაფის რეჟიმისთვის დახმარება შეეძლო კონგრესმენი დემოკრატი დენის კუსინიჩია.

**ინტერპრესნიუსი**

# რუსეთმა ლიბიის დროებითი მთავრობა აღიარა

რუსეთმა ლიბიის მეამბოხეთა დროებითი მთავრობა აღიარა. შესაბამისი ინფორმაცია რუსულმა მედიამ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული განცხადების საფუძველზე გაავრცელა.

როგორც მასში არის ნათქვამი, რუსეთი ლიბიის ერთადერთ მოქმედ ხელისუფლებად ნაციონალურ გარდამავალ საბჭოს მიიჩნევს.

— ჩვენმა ქვეყანამ ლიბიასთან დიპლომატიური ურთიერთობა 1955 წლის 4 სექტემბერს დაამყარა და მას დღემდე ინარჩუნებს. რუსეთს ეს ურთიერთობა არასდროს შეუწყვეტია, იმის მიუხედავად, თუ რომელი ხელისუფლება იყო ლიბიის სათავეში, — ნათქვამია რუსეთის საგარეო უწყების განცხადებაში.

სამინისტროში იმედოვნებენ, რომ ორ ქვეყანას შორის თავის დროზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება კეთილსინდისიერად გაგრძელდება.

დროებითი მთავრობა მანამდე დასავლეთის რამდენიმე ქვეყანამ აღიარა.

**ინტერპრესნიუსი**

# ცნობილი დირიჟორის ვახტანგ ჟორდანიას პირადი ფონდის მიმოხილვა გამოქვეყნდა

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივმა ფონდებისა და კოლექციების მიმოხილვას ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში დაცული, გამოჩენილი ქართველი დირიჟორის ვახტანგ ჟორდანიას პირადი ფონდის მიმოხილვა გამოაქვეყნა. მასში შესულია 1911-2009 წლების 1877 საქმე.**


ვახტანგ ჟორდანია

ჰერბერტ ფონ კარაიანის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ვახტანგ ჟორდანია დაიბადა თბილისში 1942 წლის დეკემბერში.

1971 წელს ლენინგრადის ფილარმონიაში შედგა მისი დებიუტი, ამავე წელს მონაწილეობა მიიღო გერმანიაში გამართულ გამოჩენილი დირიჟორის, ჰერბერტ ფონ კარაიანის სახელობის დირიჟორთა მე-2 საერთაშორისო კონკურსში და მოიპოვა ლაურეატობა. მას ეკუთვნის აკირა კუროსავას ფილმის „დერსუ უზალა“ მუსიკალური გაფორმება. 1983 წლიდან ცხოვრობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, იყო სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ჩატანუგას სიმფონიური და საოპერო ასოციაციისა, ასევე, სპოკან-ვაშინგტონის ორკესტრებისა. წარმატებით გამოდიოდა მსოფლიოს სცენებზე - ამერიკასა და ევროპაში, აზიაში, ავსტრალიასა და ახალი ზელანდიაში. დიდი პატივით ღებულობდნენ სამხრეთ კორეაში, იყო უკრაინის კულტურის დამსახურებული მოღვაწე. მის რეპერტუარში თანაბარი ადგილი უჭირავს: ქართველი, ამერიკელი, რუსი, იტალიელი, გერმანელი და ფრანგი კომპოზიტორების ნაწარმოებებს. ბოლოს საქართველოში იმყოფებოდა 1999 წელს. გარდაიცვალა აშშ-ში 2005 წელს, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ფონდში დაცულია აშშ-ში, იტალიაში, უნგრეთში, რუმინეთში, უკრაინაში, კორეაში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში, ასევე, სამშობლოში ვახტანგ ჟორდანიას დირიჟორობით ჩატარებული კონცერტების პროგრამები, აფიშები, ბუკლეტები. მაგალითად, ტენესის შტატის ქალაქ ჩატანუგას სიმფონიური და საოპერო ასოციაციის მიერ წარმოდგენილი მოცარტის ოპერის „დონ ჟუანის“ აფიშა; ვაშინგტონის შტატში, ქალაქ სპოკენში ჩატარებული კონცერტის აფიშა; ლინკოლნ ცენტრში ჩატარებული კონცერტის პროგრამა, პრესრელიზები გრემის ნომინაციაზე ვახტანგ ჟორდანიას წარდგენის შესახებ, ვახტანგ ჟორდანიას ფოტოსურათები, ბიოგრაფიული დოკუმენტები და სხვა.

**მედიანიუსი**

# ნინო კირთაძის „ჩეჩნური იავნანა“ მუზეუმში აჩვენეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

„ნაღალატევი“ (რეჟისორი კლივ გორდონი), „ალცნეი“ (რეჟისორი ნინო ორჯონიკიძე, ვანო არსენიშვილი), „გროზნოს ქრონიკები“ (რეჟისორი მანონ ლუაზო), „ჩეჩნური დედობა“ (რეჟისორი მანონ ლუაზო). სექტემბერში კი ფილმების ჩვენება უკვე „პირველი საინფორმაციო კავკასიურის“ ეთერში შედგება.

„პირველი საინფორმაციო კავკასიური“ გეგმავს, რეგულარულად მოაწყოს ფილმების რეტროსპექტივა, რათა საზოგადოებას ბევრ საინტერესო და აქტუალურ საკითხზე მიაწოდოს ინფორმაცია, თუნდაც სიმართლე წყალქვეშა ნავის „კურსკი“ შესახებ, ნორდ ოსტი, აფეთქება გურიანოვის ქუჩაზე მდებარე სახლში მოსკოვში, ფაქტები ბესლანის დაწყებითი სკოლის შესახებ და მრავალი სხვა მნიშვნელოვანი საკითხი.

ქართველი რეჟისორისა და ჟურნალისტის ნინო კირთაძის ფილმი „ჩეჩნური იავნანა“ გერმანელი დოკუმენტალისტების მთავარი პრემიით — ადოლფ გრიმეს პრიზით აღინიშნა. ქართველმა მაყურებელმა მისი ფილმი პირველად თბილისის მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალზე ნახა. სურათის სანახავად უამრავი ადამიანი ჩამოვიდა პანკისიდანაც. ერთსაათიანი ფილმი „ჩეჩნური იავნანა“ რეალურ ფაქტებს მოიცავს. ის უაღრესად ემოციურია. ერთი მხრივ, ფილმი ადანაშაულებს საერთაშორისო ორგანიზაციებს ჩეჩნეთის კონფლიქტის მიმართ გულგრილობაში, მეორე მხრივ კი გვარწმუნებს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არიან ადამიანები, რომელთაც არ შეუძლიათ, შეეგუონ სისხლისღვრას ჩეჩნეთში. ერთ-ერთი ასეთი ადამიანი ნინო კირთაძეა, რომელიც ჩეჩნეთის პირველი ომის დროს „ასოშიეიტედ პრესის“ კორესპონდენტად მუშაობდა გროზნოში. ჩეჩენი ხალხის ტკივილი „ჩეჩნურ იავნანაში“ განზოგადებულია. ნინო კირთაძის დოკუმენტური ფილმი მხატვრული კინოტრაგედიის ეფექტს ქმნის.

— ჩეჩნეთი ჩემთვის მტკივნეული თემაა. მართალია, გროზნოში არ დავბადებულვარ, მაგრამ ჩეჩნეთში დავინახე, როგორ მოდიოდა შორიდან ომის ტალღა — ეს თითქოს გარდაუვალობის განცდა იყო. მაგრამ იქ ჯერ კიდევ ჟურნალისტური მისიით მყოფი ვერც წარმოვიდგენდი, რომ ეს ტალღა მსგავსი ტრაგედიით დასრულდებოდა. ის, რაც ჩეჩენ ხალხს დამართეს, შემზარავია. ჩეჩნეთის ომმა ბევრი რამ დამანახა — შემაგრძნობინა ბედნიერებაც და უბედურებაც. არ შემეძლო, არ გამეკეთებინა ეს ფილმი. აქ არ არის განხილული, საიდან დაიწყო ომი და რატომ, ვინ არის დამნაშავე? ობიექტურად წარმოვაჩინე ის სურათი, რაც რეალურად ხდებოდა, — აცხადებს ფილმის ავტორი.

ფილმის ჩვენება რუსეთში აკრძალეს. სახაროვის ცენტრმა მალულად მაინც აჩვენა სარდაფში. შემოქმედებითი ჯგუფი შეეცადა, გაევრცელებინა ფილმი დისკებით. ზემდგომთა რეაქცია კი მძაფრი, მაგრამ მოსალოდნელი იყო.

ნინო კირთაძის ანგარიშზე რამდენიმე ფილმია — მიხეილ მოროზოვის „სამოთხე“ — „დურაკოვო“, სადაც ახალი რუსული იმპერიისთვის „წმინდა რუსები“, ზეადამიანები აღიზრდებიან; პრეზიდენტ შევარდნაძის „სამი სიცოცხლე“; „გადაეცით ჩემს მეგობრებს, რომ მკვდარი ვარ“ — მიცვალებულების სააქაო ცხოვრებაზე; გველეშაპი პატარა სოფელში — „ნავთობსადენი მეზობლად“, ჩეჩნეთის ომში დამარცხებული ჟურნალისტიკა და ცოტა რამ აგვისტოს ომზე ფილმში — „ცოტა რამ საქართველოზე“. ეს ნინო კირთაძის ნამუშევრებია, რომლებმაც მსოფლიოს არაერთ საერთაშორისო კინოფესტივალზე პრესტიჟული პრიზები დაიმსახურეს.

ნინო კირთაძის პირველი სურათი ომზე სწორედ „ჩეჩნური იავნანა“ იყო. ფილმი გერმანული „ოსკარის“ პრემიის ლაურეატი გახდა. მისი მორიგი ფილმიც ომს შეეხო, ამჯერად უკვე საქართველოში განვითარებულ აგვისტოს ომს.

— დოკუმენტურ კინოს ეს თვისება აქვს: რეალურ ადამიანებს ტრაგიკულ წუთებში ან ბედნიერების ჟამს იღებ, იღებ მათ განცდებს, ემოციას. დოკუმენტალისტიკას ეს აძლევს ღირებულებას, იმიტომ რომ უნივერსალურია მხოლოდ შიში, სიყვარული, იმედი, სიკვდილი, ფასეულობების მსხვრევა ან შენება. ემოციით ელაპარაკები მთელ მსოფლიოს, რადგან მხოლოდ ეს ენა შეიძლება ხელშესახებად ახლოს იყოს ჩინელისთვისაც და ფრანგისთვისაც. ემოციის ძებნა მიგიყვანს შვილმკვდარ დედასთან, კაცთან, რომელსაც სახლ-კარი ეწვის, ეს წუთია დახოცილებში ახლობელი ამოიცნო ან ცოცხლად გადარჩენილს, დახმარება რომ სჭირდება, მიუშვერ კამერას, — აღნიშნავს ნინო კირთაძე.


ნინო კირთაძე

ნინო კირთაძის ფილმების წარმატებას თემის არჩევანითაც ხსნიან — ძალიან მტკივნეული, უჩვეულო, ეგზოტიკური, ხმაურიანი — რაც უკვე გარკვეულ წარმატებას განაპირობებს, თუმცა იგივე შეიძლება გახდეს წარუმატებლობის მიზეზიც.

— ჩეჩნეთის თემა ჩემთვის, როგორ პიროვნებისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ჩეჩნეთში ომის დაწყებამდე ჩავედი. მერე, როცა ყველაფერი უკვე სერიოზულ ტრაგედიაში გადაიზარდა, ბევრჯერ ყოფილა, სააგენტოს ინფორმაციას აწვდი, რომ 15 კაცი დაიღუპა და გეუბნებიან, რომ ეს საინტერესო არ არის, უკეთესია, რაც უფრო დიდია მსხვერპლი. ხშირად ასე მუშაობს ომის ჟურნალისტიკა. ობიექტურობაზე ძნელია საუბარი, იმიტომ რომ არ ვიცი, რამდენად ობიექტურია სიკვდილი და უბედურება და ადამიანს რამდენად შეუძლია ფაქტების კონსტატაცია ცივი გონებით და უგრძნობად დარჩენა. მოსახლეობა იხოცება, შენ კი ამას იღებ და გეუბნებიან, კარგია, რომ ეს შენი ტელეკამერის წინ ხდება, იმიტომ რომ შთამბეჭდავი რეპორტაჟი გამოვა. ასე შეიძლება მხეცი გახდე, თანაც ფიქრობ, რომ ეს რამეს შეცვლის, მაგრამ საბოლოოდ ამას ხალხი „ლაივში“ უყურებს, როგორც საშინელებათა ფილმებს და არაფერი იცვლება. სანამ ახალგაზრდა ხარ, გგონია, რომ ეს ვილაცას სჭირდება, მერე ხედავ, რომ ეს არაფერს ცვლის, ომი ათი წლის შემდეგაც გრძელდება, რა ფორმებს იღებს და ხვდები, რომ აქ, ჩეჩნეთში, არაფერი წყდება. „არტეში“ (ფრანგულ-გერმანული სატელევიზიო არხია) პროექტი წარვადგინე. ვიფიქრე, რომ ფილმს ნებისმიერი ზედმეტობა დაანგრევდა და ამიტომ ის სტრუქტურულად ძალიან მარტივია — ფილმის თითოეული მონაწილე, როგორც ორკესტრის წევრი, სხვადასხვა „ხმით“ ყვება, რა ნახა და გადაიტანა ამ ომში. ესენი არიან „ბი-ბი-სის“ ჟურნალისტი რობერტ პარსონსი, რომელიც ჩეჩნეთის ორივე ომის დროს იქ იყო, სტანლი გრინი — ამერიკელი ფოტოგრაფი, რომელსაც არტისტული ბექგრაუნდი აქვს, ომში შემთხვევით მოხვდა და იმ ჯოჯოხეთის დავიწყება ვერ შეძლო, ფრანგი სოფი შიაბი, რუსი ანდრეი ბაბიცკი და ჩეხი პეტრა პროჰასკოვა. ამ ჟურნალისტებს კარგად ვიცნობდი, ვიცოდი, რომ საშინლად ტრავმირებულები, იმედგაცრუებულები არიან და მინდოდა, ჟურნალისტი ისე გამოჩენილიყო, როგორც არასოდეს — დაბნეული, დაეჭვებული, ამიტომ უფრო ღრმა, უფრო ადამიანური თავისი ტკივილით. ფილმის ბოლოს ჩეხი ჟურნალისტის მონოლოგს ვისმენთ. მან პროფესიას თავი დაანება და ჩეჩნეთში ცხოვრება გადაწყვიტა. ის ამბობს, რომ რაც მეტ ომის სიუჟეტს აკეთებ, პოპულარული ხდები, რეპორტაჟის ადგილი და იმ ხალხის ბედი მეორე პლანზე გადადის, შენ კი გეუბნებიან: რა კარგად ჩანხარ ომის ფონზე, რა თამამი ხარ, რა მამაცი. დღევანდელი მაყურებელი გამძლარია ომის კადრებით. ეს ძალიან უცნაური რაღაც გაჩნდა ბოლო ათი წლის მანძილზე. ადამიანურ უბედურებაზე რთულია ლაპარაკი. ომი და სიკვდილი ერთ ცდაშია სიცოცხლესა და სიმამაცესთან. ამიტომ ასეთ დროს ცრემლი და სიცილი ერთად არის. ამ ფილმში მონაწილეობს 5 სხვადასხვა ეროვნების ადამიანი, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა სააგენტოში მუშაობენ და მათ ჩეჩნეთის ორივე ომი გამოიარეს, — აცხადებს ქართველი რეჟისორი.

ნინო კირთაძის „ჩეჩნურმა იავნანამ“ მოიპოვა ევროპის ჯილდო, გერმანიის ათი საუკეთესო ფილმის სიაში დასახელდა, ადოლფ გრიმეს ოქროს ჯილდო დაიმსახურა და ჩეხეთის რესპუბლიკის რუდოლფ ვირბას ჯილდოს მფლობელიც გახდა.




## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სოფლის შარაგზა; 2. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 3. ნაზბეწვიანი ცხვრის ჯიში; 4. ბედ-იღბლიანობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 5. აჭარული ცეკვა; 9. ფულის ერთეული აზერბაიჯანში; 12. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 14. უდაბნო აფრიკაში; 15. უძველესი სვანური დროშა; 17. ბალ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 18. აბრეშუმის ჭია.

**თარაზულად:** 6. მართლმსაჯულება ანუ... 7. მოძღვრება ღვთისმეტყველების შესახებ; 8. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 10. თურქეთის ფეხბურთელთა გუნდი: სულის ხუთვა; 11. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 13. თურქეთის ძველი სახელწოდება; 16. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 19. ღვინის სპირტი; 20. ხევსურული ტანსაცმელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქულამა; 2. ხიდი; 3. კონსტანტა; 4. ქორქი; 5. ლიგნიტი; 8. აქციზი; 9. პერგამონი; 12. ყალამი; 14. არმაზი; 16. ატაშე.

**თარაზულად:** 1. ქვათახევი; 6. კოხინორი; 7. ლებარდე; 9. პრუსია; 10. ჯიპი; 11. მიუსერა; 15. მუაში; 16. ლაზიკა; 17. ჰარლემი; 18. ბახალა; 19. ბერკლი; 20. შეგირდი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. წუმწუმა; 2. ფტორი; 3. გალენიტი; 4. სააკაძე; 5. ბურგუნდია; 9. არიანი; 12. სტელაჟი; 14. უზნაძე; 15. სუმო; 17. მახნო; 18. ვირი.

**თარაზულად:** 6. მულატი; 7. კატმანდუ; 8. აწყური; 10. კამიუ; 11. კასტანიეტა; 13. პუანსონი; 16. სტიგმა; 19. ისპახანი; 20. ნეგროიდი.

# გოჩა ხოჯავა: „ამქვეყნად მხოლოდ დედის მეშინია“

**ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას“ ვებგვერდზე ტრადიციული რუბრიკაა „12 კითხვა“, რომლის სტუმრები ხშირად ხდებიან ქართველი ფეხბურთელები. ეს გასაკვირიც არ არის — ნიჟნინოვგოროდული კლუბი ჩვენებურების სიმცირეს არ განიცდის. ამჯერად სტუმარი გოჩა ხოჯავა გახდა, რომელმაც კლუბის გულშემატკივრების მიერ გამოგზავნილ შეკითხვებს უპასუხა.**

— ***რატომ თამაშობთ 99-ნომრიანი მაისურით? ეს საყვარელი რიცხვია თუ, უბრალოდ, ციფრების ლამაზი კომბინაცია?***

— ადრე 10-ნომრიანი ან 25-ნომრიანი მაისურით ვთამაშობდი. 99 ნომერი კი ოთარ მარცვალაძეს უკავშირდება. როდესაც „ვოლგაში“ გადავედი, ის უკვე თამაშობდა გუნდში 77-ნომრიანი მაისურით. ამიტომ მე და გიორგი ნავალოვსკიმ გადავწყვიტეთ, 88 და 99 ნომრები აგვეღო. ასე უფრო ლამაზად გამოდიოდა — 77, 88, 99.

— ***კარიერაში თქვენი პირველი გოლი როგორ გაიტანეთ?***

— მახსოვს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში გატანილი გოლი. მაშინ ბერძნებს ვეთამაშებოდით და გოლი საჯარიმო დარტყმით გავიტანე, ხოლო მატჩი 1:1 დასრულდა. იყო თუ არა ეს პირველი გოლი, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ მე დამამახსოვრდა.

— ***„ვოლგას“ შემადგენლობაში გატანილი გოლებიდან ყველაზე მეტად რომელი მოგეწონათ?***

— პირველ წრეში „როსტოვის“ კარში გატანილი ბურთი. მოულოდნელი და ლამაზი გოლი გამოვიდა, მით უმეტეს იმ გუნდის კარში, სადაც ადრე ვთამაშობდი.

— ***კავკასიელი ხართ — ე.ი. ტემპერამენტიანი და ძალიან ემოციური ადამიანი. თქვენი აზრით, ხასიათის ეს თვისებები თამაშისთვის განწყობის შესაქმნელად გადამწყვეტია? რუსეთის პრემიერლიგის კლუბებს შორის თქვენთვის პრინციპული მეტოქე ვინ არის?***

— მატჩის დაწყებამდე 15 წუთით ადრე მწვრთნელები გვირჩევენ, ხმაურიანად განვაწყოთ თავი სათამაშოდ, რათა მოედანზე ემოციურად დამუხტულები გავიდეთ. მე კი, პირიქით, მირჩევნია, ჩუმად ვიჯდე, რათა ზედმეტი ენერგია და ემოცია არ დავხარჯო. საფეხბურთო მოედანზე მართლაც ემოციური ვარ. კარგია ეს თუ ცუდი, ვერ გეტყვით. ალბათ, თანაბრად მისაღებია. ზოგჯერ საკუთარ ემოციებს უნდა გაუმკლავდე, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ეს არ გამოდის. დღესდღეობით ჩემთვის პრინციპული მეტოქე „ანჟია“. მოუთმენლად ველი ამ გუნდთან შეხვედრას, რადგან მახაჩყალაში თამაში ძალიან საინტერესოა. დარწმუნებული ვარ, როდესაც ჩავალთ, ადგილობრივი გულშემატკივრები შემხვდებიან ისევე, როგორც სხვა ბიჭებს, ტაშს დაგვიკრავენ, რადგან არასოდეს ავიწყდებათ, ვინ და რა გააკეთა მათთვის. თუმცა, მოედანზე რომ გავალთ, სულ სხვა რეაქცია ექნებათ.

— ***როგორ ფიქრობთ, ამბიციური ფეხბურთელი გულშემატკირების აზრს უნდა ითვალისწინებდეს? მათ რჩევებს, მაგალითად, ტაქტიკაზე, ყურს უნდა უგდებდეს? თუ გულშემატკივრებმა ბევრი არ იციან?***

— ტაქტიკა მწვრთნელებისა და მოთამაშეების საქმეა. თუმცა, ყოველთვის მოხარული ვართ, ქომაგების საქმიან რჩევებს მოვუსმინოთ იმ საკითხებში, რომლებშიც ისინი ჩვენზე უკეთ ერკვევიან. ცოტა ხნის წინ გულშემატკივრებს შევხვდით და მათ მოედანზე ერთობილი მისალმების სურვილი გამოთქვეს. ახლა ვცდილობთ, ეს შევასრულოთ. ასეთი რჩევები საჭიროა და მათ მოსასმენად მზად ვართ.

— ***ფეხბურთელებმა ადგილი გულშემატკივრებს რომ გაუცვალოთ, რა შეძახილს მოიგონებდით?***

— ჩემთვის შეძახილის მოგონება რთულია, რადგან, როდესაც ვინმეს ვგულშემატკივრობ, ყვირილი კი არა, ლაპარაკიც არ შემიძლია. ყოველთვის ჩუმად ვქომაგობ და ვნერვიულობ — ყველაფერს შიგნით ვინახავ.

— ***შეგიძლია გაიხსენო რაიმე საინტერესო ისტორია, რომელიც ფანებთან დაკავშირებით გადაგხდა?***

— დიახ. მაშინ „ანჟიში“ ვთამაშობდი. ერთ-ერთი მატჩი 40-გრადუსიან სიცხეში ტარდებოდა და დღის 3 საათზე დაიწყო. გულშემატკივრები ყვიროდნენ — ითამაშეთ, ითამაშეთ! აუტის ჩამოსაწოდებლად გვერდით ხაზთან



გოჩა ხოჯავა

მივედი. ტრიბუნიდან ვიღაცამ დამიძახა — ხოჯავა, ითამაშე, რა! ბურთიანად მივტრიალდი და ვუპასუხე — არ შემიძლია თამაში, რა! ეს მომენტი კარგად მახსოვს.

— ***რა უნდა გააკეთო, რომ საფეხბურთო მოედანზე სუპერმენი გახდე?***

— რა თქმა უნდა, ვიცი, სუპერმენს რომელ გმირს ეძახიან. თუმცა, პირველად გავიგე, რომ სუპერმენი საფეხბურთო მოედანზეც შეიძლება იყო. როგორ უნდა გახდე სუპერმენი? არ ვიცი, მაგრამ, თუ თქვენთვის მე ვარ ფეხბურთში სუპერმენი, მაშინ ეცადეთ, ასევე ითამაშოთ და უფრო უკეთაც.

— ***დამატებითი კითხვა იბადება: მაგალითად, თქვენთვის ბავშვობაში ვინ იყო სუპერმენი?***

— ზინედინ ზიდანი!

— ***ცნობილია, რომ ქართველებს ბურთთან მუშაობა უფრო უყვართ, ვიდრე კროსების სირბილი, კუპერის ტესტის ჩაბარება და ა.შ. კროსებზე მანძილი „მოგიჭრიათ“ ან რაიმე მიზეზი მოგიგონიათ, რომ არ გერბინათ?***

— უბრალოდ, ბურთთან მუშაობა უფრო კარგად გამოგვდის. კროსებთან დაკავშირებით ერთ ისტორიას მოგიყვებით. 16 წლის ვიყავი და ეს ამბავი კვლავ ჭაბუკთა ნაკრებს უკავშირდება. ყოველდღე დავრბოდით კროსებს და თითო წრე 1800-მეტრიანი იყო. სირბილი შემეძლო, მაგრამ არ მიყვარდა და არ მინდოდა, ამიტომ ყოველთვის „ვჭრიდი“. მწვრთნელი კოშკურაზე იდგა და თვალს იქიდან გვადევნებდა. ცხადია, გამომააშკარავეს, რადგან ირგვლივ თოვლი იდო და ჩვენ წითელი ფორმები გვეცვა, რომლის არდანახვაც შეუძლებელი იყო. უბრალოდ, აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, რომ მთელი მანძილი არ მერბინა. ამიტომ გადავწყვიტე, თოვლში დავმალულიყავი. წითელი ფორმის ქვეშ თეთრი ჩავიცვი და ასევე თეთრი სპორტული ფეხსაცმელი მეცვა. 200 მეტრის გარბენის შემდეგ წითელი ფორმა გავიხადე და, ცოტა რომ გავირბინე, სასტარტო პოზიციას დავუბრუნდი.

— ***არსებობს ასეთი ქართული გამოცანა, რომელიც, ალბათ, თქვენც იცით — გეშინოდეს მისი, ვისაც შენი ეშინია. ცნობილია, რომ მეტოქე გუნდის ბევრი ფეხბურთელი გიფრთხით, რადგან არ იცის, რა დროს რას მოიმოქმედებთ. ეს მოედანზე შეგიმჩნევიათ? თუ არსებობს ამქვეყნად ვინმე, ვისიც გეშინიათ?***

— ჩემი ვის ეშინია, ვერ გეტყვით, მაგრამ, ზუსტად ვიცი, რომ მოედანზე არავისი არ მეშინია.

— ***ქვეყნად?***

— დედის მეშინია. უფრო სწორად, კი არ მეშინია, არამედ ძალიან მიყვარს და პატივს ვცემ. მისი თითოეული სიტყვა ჩემთვის კანონია.

— ***რომელი სპორტსმენის ავტობიოგრაფიული წიგნის წაკითხვა გსურთ? შესაძლოა, უკვე კითხულობთ?***

— მარადონას ავტობიოგრაფიულ წიგნს ვკითხულობ. უკვე შუა ნაწილამდე მივედი.

# ბოლო დღის ტრანსფერები

ზაფხულის სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეს ევროპულ გუნდებში რამდენიმე ცვლილება განხორციელდა. თუმცა, რომელიმე მათგანს ხმაურიანს ვერ დავარქმევთ.

მეტ-ნაკლებად ყველაზე გამორჩეული ტრანსფერი იტალიაში მოხდა. მილანის „ინტერმა“ რომის „ლაციოსგან“ 24 წლის თავდამსხმელი მაურო სარატე ერთი სეზონით ინათხოვრა. „ნერაძურის“ ხელმძღვანელებს არგენტინელის იჯარა 2 მილიონი ევრო დაუჯდებათ. აღსანიშნავია, რომ სეზონის ბოლოს „ინტერს“ სარატეს სატრანსფერო უფლებების გამოსყიდვის უფლება ექნება.

მილანურ კლუბში გადასვლას კომენტარი თავად ფეხბურთელმა გაუკეთა:

— მიხარია, რომ „ინტერის“ ფეხბურთელი გავხდი. ამ გუნდს ყოველთვის ვანიჭებდი პრიორიტეტს. მე ნამდვილად ვცდილობდი ამ კლუბში გადმოსვლას. კარგია, რომ გუნდში ჩემი ბევრი თანამემამულეა.

არგენტინელი „ლაციოს“ ღირსებას 2008 წლიდან იცავდა. მის ანგარიშზე რომაული კლუბის მაისურით ჩატარებული 103 მატჩი და 25 გოლია.

ესპანურმა „ვალენსიამ“ დაცვას მიხედა და სამი ფეხბურთელი დაიმატა: ალბერტ დალმაუ „ბარსელონა ბ“-დან, ვიქტორ რუისი „ნაპოლიდან“ და ანტონიო ბარაგანი — „ვალიადოლიდიდან“.

დალმაუ 19 წლისაა და მარჯვენა მცველია. „ღამურებმა“ ეს ფეხბურთელი ერთწლიანი იჯარით აიყვანეს, თუმცა საბოლოო გამოსყიდვის პრიორიტეტული უფლება ექნებათ.

ამავე ფლანგზე თამაშობს 24 წლის ბარაგანიც, რომელმაც 2015 წლამდე გააფორმა კონტრაქტი ვალენსიელებთან. ბარაგანი ერთ დროს უპერსპექტიულესი მარჯვენა მცველი იყო და სერხიო რამოსზე წინაც აყენებდნენ, 2006 წელს ევროპის ჩემპიონატიც მოიგო 19-წლამდელთა შორის, თუმცა შემდეგ მოუკლო. ბარაგანს „სევილიაში“, „დეპორტივოსა“ და ინგლისურ „ლივერპულშიც“ უთამაშია.

1,8 მილიონი ევრო — მხოლოდ ეს თანხა დაუჯდათ სამი ფეხბურთელი „ღამურებს“.

23 წლის რუისი ცენტრალური მცველი გახლავთ. „ესპანიოლის“ აღზრდილია და წლეულს „ნაპოლიმ“ იყიდა, თუმცა ვალენსიელებმა 7,5 მილიონ ევროდ შეიძინეს ვეზუვიანური კლუბიდან და 2016 წლამდე გაუფორმეს ხელშეკრულება.

„ჰამბურგმა“ ჰოლანდიელი ნახევარმცველი ელჯერო ელია ტურინის „იუვენტუსს“ 9 მილიონ ევროდ მიჰყიდა. სამაგიეროდ, ჩრდილოგერმანულმა კლუბმა გუშინ ელიას შემცვლელი იყიდა — „ჰამბურგმა“ „კაზერსლაუტერნიდან“ 24 წლის გარემარბი ივო ილიჩევიჩი გადაიბირა.

გერმანელებს ეს ტრანსფერი 4 მილიონი ევრო დაუჯდათ. აღსანიშნავია, რომ ილიჩევიჩი ბუნდესლიგის მეოთხე ტურში („ბაიერნთან“ 0:3) მოედნიდან გააძევეს, რის გამოც გერმანიის საფეხბურთო ლიგამ მას ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა. გამოდის, რომ ილიჩევიჩი „ჰამბურგს“ უახლოესი ოთხი ტურის მანძილზე ვერ დაეხმარება. ივოს „ლაუტერნთან“ კონტრაქტი გაისად უმთავრდებოდა და ეშმაკებს ეს ფეხბურთელი ახლა რომ არ გაეყიდათ, ერთი წლის შემდეგ უფასოდ დაკარგავდნენ.

„რომამ“ დანიელი მცველი სიმონ კიაერი „ვოლფსბურგიდან“ ერთწლიანი არენდით აიყვანა. ამრიგად, 22 წლის მცველი, რომელსაც დანიის ნაკრებში 17 მატჩი აქვს ჩატარებული, გერმანიაში გატარებული ერთი სეზონის შემდეგ ისევ იტალიაში ბრუნდება.

„რომამ“ კიაერის შესყიდვის უპირატესი უფლებაც მიიღო და, თუ ფეხბურთელი „ჯალოროსიში“ თავს დაიმკვიდრებს, რომაელები გაისად მის კონტრაქტს გამოისყიდიან.

კიაერი „რომაში“ ფილიპ მექსეს წასვლით შექმნილ სიცარიელეს შეავსებს — როგორც იცით, ეს უკანასკნელი „მილანში“ უფასოდ გადავიდა. შეგახსენებთ, რომ კიაერი „ვოლფსბურგმა“ ზუსტად ერთი წლის წინ „პალერმოდან“ 12 მილიონ ევროდ შეიძინა. გასულ სეზონში დანიელმა „მგლების“ ფორმა ბუნდესლიგის 32 მატჩში მოირგო და ერთი გოლიც გაიტანა.

„ჰანოვერმა“ ავსტრიის ნაკრების ფეხბურთელი დანიელ როიერი დაიმატა. 21 წლის ნახევარმცველი ბუნდესლიგაში „რიდიდან“ გადავიდა და „ჰანოვერთან“ 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

— დანიელ როიერი ორივე ფეხით კარგად თამაშობს, ძალიან სწრაფია და ნახევარდაცვის ორივე ფლანგზე შეუძლია თამაში. მიხარია, რომ ავსტრიული ფეხბურთის ერთ-ერთმა უნიჭიერესმა წარმომადგენელმა „ჰანოვერში“ გადმოსვლა გადაწყვიტა, — განაცხადა „ჰანოვერის“ სპორტულმა დირექტორმა იორგ შმადტკემ.

აშშ-ის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი მაიკლ ბრედლი მიონხენგლადბახის „ბორუსიადან“ იტალიურ „კიევოში“ გადაბარგდა. 24 წლის ბრედლი გერმანიაში 2008 წლიდან თამაშობდა. ბრედლი გასული სეზონის მეორე ნახევარში ინგლისურ „ასტონ ვილაში“ იყო განათხოვრებული, ახლა კი კარიერას იტალიაში გააგრძელებს.

„ვოლფსბურგის“ მცველი პეტერ პეკარიკი კარიერას თურქეთში, კერძოდ, შოთა არველაძის „ქაისერისპორში“ გააგრძელებს. 24 წლის მარჯვენა მცველმა თურქულ კლუბთან



პეტერ პეკარიკი

ოთხშაბათს 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ჩვენი თურქი და გერმანელი კოლეგების ცნობით, არველაძის კლუბს პეკარიკი მილიონ-ნახევარი ევრო დაუჯდა.

სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეს ბაზარზე გააქტიურდა „კიოლნიც“ — „თხებმა“ ბერნის „იანგ ბოიზიდან“ 24 წლის ტუნისელი მცველი ამარ ჯემალი გადაიბირეს, შვეიცარიულ კლუბს კი 2 მილიონი ევრო გადაურიცხეს. ჯემალი უმეტესად მარცხენა მცველის პოზიციაზე თამაშობს, თუმცა დაცვის ცენტრშიც შეუძლია გაისარჯოს და საყრდენ ნახევარმცველადაც. „კიოლნის“ სპორტული დირექტორი ფოლკერ ფინკე ამბობს, „იანგ ბოიზის“ თავკაც კრისტიან გროსს ვესაუბრე და ჯემალი იდეალურად დამიხასიათა, გროსს ვენდობი და მიხარია, რომ ასეთი ფეხბურთელის გადმობირება მოვახერხეთო.

## დღეს ლატვიას დავუხვდებით, 6 სექტემბერს მალტა გველის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვილი (ზესტაფონი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ალექსანდრე ამისულაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), გია გრიგალავა (ვოლგა, რუსეთი);

**ნახევარმცველები:** დავით თარგამაძე (ოლექსანდრია, უკრაინა), ლევან კობიაშვილი (ჰერტა, გერმანია), ჯაბა კანკავა (კრივბასი, უკრაინა), დავით კვირკველია (პანიონიოსი, საბერძნეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ირაკლი მაისურაძე (მეტალურგი), ალექსანდრე გურული (კარპატი, უკრაინა), ალექსანდრე კობახიძე (არსენალი, უკრაინა), მურთაზ დაუშვილი, შოთა გრიგალაშვილი (ორივე ზესტაფონი);

**თავდამსხმელები:** ოთარ მარცვალაძე (კრასნოდარი, რუსეთი), ალექსანდრე იაშვილი (კარლსრუე, გერმანია), დავით სირაძე (ნალჩიკი, რუსეთი), ვლადიმერ დვალიშვილი (მაქაბი, ისრაელი).

## შედეგები

### ფეხბურთი

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ტორინო-ჩიტადელა | 1:1 |
| იუვე სტაბია-ვერონა | 1:2 |

**საფრანგეთი. ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ტულუზა-ნიცა | 1:2 |
| დიჟონი-ვალანსიენი | 3:2 |
| კაენი-ბრესტი | 3:2 |
| ლე მანი-აიაჩო | 1:0 |
| მონპელიე-ამიენი | 2:2(4:3პ) |
| სედანი-ნანტი | 2:0 |
| სენტ ეტიენი-ბორდო | 3:1 |

**ჩეხეთი. თასი**

| | |
|---|---|
| ბრნო-მლადა | 1:3 |
| ლიბერეცი-ჰრადეც კრალოვე | 3:1 |

**აშშ. თასი**

| | |
|---|---|
| ჩიკაგო-რიჩმონდი | 2:1 |
| სიეტლი-დალასი | 1:0 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ვაკუ-სეარა | 3:1 |
| კორინთიანსი-გრემიო | 3:2 |
| ატლეტიკო(გ)-კურიტიბა | 3:1 |
| ატლეტიკო(პ)-ატლეტიკო(მ) | 0:1 |
| კრუზეირო-ფიგუირენსე | 2:4 |
| ავაი-ფლამენგო | 3:2 |
| ბოტაფოგო-პალმეირასი | 3:1 |
| სან პაულუ-ფლუმინენსე | 1:2 |
| ინტერნასიონალი-სანტოსი | 3:3 |

### კალათბურთი

**ევროპის ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-პოლონეთი | 8378 |
| სერბეთი-იტალია | 80:68 |
| საქართველო-ბელგია | 81:59 |
| ჩერნოგორია-მაკედონია | 70:65(ოტ) |
| თურქეთი-პორტუგალია | 79:56 |
| საფრანგეთი-ლატვია | 89:78 |
| საბერძნეთი-ბოსნია | 76:67 |
| სლოვენია-ბულგარეთი | 67:59 |
| გერმანია-ისრაელი | 91:64 |
| ლიტვა-დ.ბრიტანეთი | 80:69 |
| რუსეთი-უკრაინა | 73:64 |
| ხორვატია-ფინეთი | 84:79 |

### ჩოგბურთი

**ამერიკის ღია პირველობა**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ჰაასე-მაშადუ | 6:0;6:4;6:4 |
| ისტომინი-სვიტინგი | 3:6;7:5;6:4;7:6 |
| ბეკი-ჟუნკუერა | 2:6;0:6;0:6 |
| ბოგომოლოვი-ჯონსონი | 4:6;4:6;6:3;7:6;6:3 |
| დელ პოტრო-ვოლანდრი | 6:3;6:1;6:1 |
| მიურეი-დევ ვარმანი | 7:6;6:2;6:3 |
| სიმონი-მელო | 3:6;6:3;6:4;3:6;6:4 |
| ჯინეფრი-სოზა | 6:3;6:4;6:7;6:1 |
| სოკი-ჟიკელი | 6:4;6:3;1:6;6:4 |
| ისნერი-ბაგდატისი | 7:6;7:6;2:6;6:4 |
| როდიკი-რასელი | 6:2;6:4;6:7;6:1 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ციბულკოვა-ფალკონი | 6:2;3:6;5:7 |
| პენეტა-ოპრანდი | 6:0;6:3 |
| ვიკმაიერი-კუდრიავცევა | 1:6;0:6 |
| რადვანსკა-კერბერი | 3:6;6:4;3:6 |
| შარაპოვა-იაკიმოვა | 6:1;6:1 |
| გაიდიშოვა-ბენეშოვა | 7:5;7:6 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## სპორტი

# ზარქუა „დინამოში" დაბრუნდა, ჰაჯიბულიჩი წავიდა


თორნიკე ზარქუა

ქართულ კლუბებს მცირე პაუზა უდგათ და ამ პერიოდს სატრანსფერო მიზნებისთვის ატარებენ. ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი კი ქუთაისის „ტორპედომ" გაჩარხა.

სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს რიონისპირელთა ახალწვეული ყველასათვის კარგად ნაცნობი 29 წლის ცენტრალური მცველი დავით გამეზარდაშვილია.

ბაიანომ კარიერა სწორედ „ტორპედოში" დაიწყო, შემდეგ კი ლატვიის „სკონტოში", „ზესტაფონსა" და მოლდოვურ „დაჩიაში" გამოდიოდა.

ფეხბურთელმა მშობლიური ქალაქის გუნდთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ერთადერთი თორნიკე ზარქუაა, რომლის სატრანსფერო უფლებები თბილისის „დინამოს" ეკუთვნის და ვინც იჯარით ცხინვალის „სპარტაკში" თამაშობდა, კარიერას კვლავ დინამოელთა რიგებში გააგრძელებს.

ამჟამად ზარქუა ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ესპანეთის 21-წლამდელებთან სათამაშოდ გუშინ ქუთაისში იმყოფებოდა, ხოლო 5 სექტემბერს ლუგოში შეხვედრებისთვის ემზადება. ამ მატჩების შემდეგ ის ვარჯიშს უკვე „დინამოში" განაახლებს.

თბილისელთა რიგები დატოვა სერბმა ნახევარმცველმა სემირ ჰაჯიბულიჩმა, რომელიც კარიერას სამშობლოში „ნოვი პაზარში" გააგრძელებს. ჰაჯიბულიჩი „დინამომ" გასულ ზამთარში შეიძინა, სერბმა 8 შეხვედრაში ერთი გოლი გაიტანა.

ზარქუას დაბრუნებისა და ჰაჯიბულიჩის წასვლის თაობაზე „დინამოს" პრესატაშემ გიგა გვენცაძემ განაცხადა:

— ჰაჯიბულიჩმა ალექს გარსიას მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა და კლუბმა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მასთან კონტრაქტი გაწყვიტა. „დინამო" მას წარმატებას უსურვებს. რაც შეეხება ზარქუას, იგი განათხოვრებული გახლდათ, მაგრამ გუნდმა მისი დაბრუნება მიზანშეწონილად მიიჩნია. ასე რომ, თორნიკე „დინამოს" სრულუფლებიანი წევრია.

თბილისის „ვიტ ჯორჯიას" ვებგვერდის ცნობით, გუნდი დატოვა მეკარე არდალიონ მიქაბერიძემ. ეს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მოხდა.

სანაცვლოდ, ვიტელებმა მთავარ გუნდში დააწინაურეს 19 წლის გოლკიპერი ნოდარ სვანაძე. და პლუს, ზურაბ ბერიძის გუნდმა ერთი თავდამსხმელიც დაიმატა — 19 წლის ლევან კუხალეიშვილი, რომლის სატრანსფერო უფლებები თბილისის „დინამოს" ეკუთვნოდა.

# დალაია ლამა ტიმოშენკოს გათავისუფლებას ითხოვს


დალაი ლამა


იულია ტიმოშჩენკო

ტიბეტის სულიერი ლიდერი დალაი ლამა უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, იულია ტიმოშენკოს პატიმრობიდან თავდებით გათავისუფლებას ითხოვს.

უცხოური მედიის ცნობით, მან რამდენიმე ცნობილ მოღვაწესთან ერთად ევროკავშირის ქვეყნებს იულია ტიმოშენკოსა და სხვა უკრაინელი ოპოზიციონერების გათავისუფლების მოთხოვნისაკენ მოუწოდა. ხსენებულ მოღვაწეებს შორის არიან ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი რიხარდ ფონ ვაიცზეკერი, პარტია „იაბლოკოს" ლიდერი გრიგორი იავლინსკი, ფილოსოფოსი და ესეისტი ანდრე გლუკსმანი.

— მოვუწოდებთ ევროკავშირის ქვეყნებს, პატივი სცენ უმაღლეს უფლებებს. ევროკავშირმა პატიმრების თავდებით გათავისუფლება უნდა მოითხოვოს, რათა ტიმოშენკომ და სხვა ოპოზიციონერებმა თავის დაცვა სრულყოფილად მოახერხონ", -- ნათქვამია მათ მიერ ხელმოწერილ მიმართვაში, რომელიც უცხოური მედიით გავრცელდა.

**მედიანიუსი**

# ბონის ხელისუფლებამ მეძავებს მრიცხველები დაუყენეს




გერმანიის ქალაქ ბონის ხელისუფლებამ დაამონტაჟეს სპეციალური ავტომატები, რომელთა დანიშნულება მეძავებისაგან გადასახადის აკრეფაა. გადასახადი ღამეში 6 ევროს შეადგენს.

როგორც ვარაუდობენ, „ცვლის" დასაწყისში მეძავმა ავტომატის საშუალებით ბაჟი უნდა გადაიხადოს და ტალონი მიიღოს. გადასახადი კლიენტების ოდენობაზე დამოკიდებული არ არის.

ტალონი საღამოს 6 საათიდან დილის 6 საათამდე მოქმედებს. იმ შემთხვევაში თუ მეძავებს ტალონის გარეშე „სამუშაოდ" გასულებს შეამჩნევენ, მას ჯერ გააფრთხილებენ, შემდეგ კი დააჯარიმებენ ან ქუჩაში მუშაობის უფლებას ჩამოართმევენ.

ავტომატები გარეგნულად პარკირების ღირებულების ასანაზღაურებელ ხელსაწყოებს ჩამოგავს.

პირველი ავტომატი ბონის სამრეწველო რაიონში, ქალაქის ცენტრის მახლობლად 29 აგვისტოს დააყენეს. მეძავები თავიანთ კლიენტებს ჩვეულებრივ, აქ ეძებენ ხოლმე.

ხელისუფლებამ ავტომატის გახსნის შემდეგ მასში 264 ევრო აღმოაჩინეს.

ქალაქის ადმინისტრაციის წარმომადგენლების თქმით, ისინი იმედოვნებენ, რომ თითოეული ავტომატი მათ წელიწადში 200 ათას ევროს მოუტანს.

მათი თქმით, ბორდელებში მომუშავე მეძავები დიდი ხანია, რაც გადასახადს იხდიან, მაგრამ ქუჩაში მომუშავე მეძავების დაბეგვრა დღემდე ვერ ხერხდებოდა.

გერმანიაში მეძავებს გადასახადს მრავალ ქალაქში ახდევინებენ, მაგრამ ბონი პირველი ქალაქია, სადაც ამ მიზნით ავტომატები გამოიყენეს.

ადმინისტრაციის წარმომადგენლების თქმით, ავტომატების გამოყენება მნიშვნელოვნად ამარტივებს მეძავების მიერ გადასახადების გადახდის პროცედურას, განსაკუთრებით მათთვის, ვინც გერმანულ ენას კარგად არ ფლობს და საგადასახადო ინსპექციის ქვითრების შევსება უჭირთ.

მეძავების უფლებების დამცველები აღნიშნავენ, რომ „ქუჩის მშრომელების" ავტომატებით დაბეგვრა ფაქტობრივად ორმაგ გადასახადებს ნიშნავს, რადგან ისინი ისედაც ვალდებული არიან საშემოსავლო გადასახადი გადაიხადონ.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეძავები ერთადერთი კატეგორიაა, ვინც ამგვარად იბეგრება.

ხელისუფლების ვარაუდით, ბონის ქუჩებში 200-მდე მეძავი საქმიანობს. ღამის განმავლობაში საშუალოდ 20-მდე მსუბუქი ყოფაქცევის ქალი გამოდის ქუჩაში.

ბონის ხელისუფლებამ თავიანთი ადრეული გადაწყვეტილებით მეძავების საქმიანობა რამდენიმე კვარტლით შეზღუდეს. გარდა ამისა, ბონში შექმნილია სპეციალური ზონები, ბოქსები, სადაც მეძავებს კლიენტებთან შეხვედრა შეუძლიათ.

# ევროკავშირმა ლიბიის 28 საწარმოზე სანქციების მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო

ევროკავშირმა ლიბიის 28 საწარმოზე სანქციების მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო, — ამის შესახებ „როიტერი" იუწყება.

სააგენტოს ინფორმაციით, ევროკავშირის სანქციები ეხებოდა ლიბიის ექვს პორტს, რამდენიმე ნავთობკომპანიას და ბანკებს. სანქციების მოხსნის თაობაზე ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური უსაფრთხოების საკითხებში უმაღლესმა წარმომადგენელმა კეტრინ ეშტონმა განაცხადა.

— ჩვენი მიზანია, დროებით მთავრობას და ლიბიელ ხალხს რესურსების გამოყენებისა და ეკონომიკის აღდგენის საშუალება მივცეთ, — აღნიშნა ეშტონმა.

**ინტერპრესნიუსი**

# სახეცვლილი ვირუსი სიმსივნის უჯრედებს ესხმის თავს



მეცნიერებმა შექმნეს ვირუსი, რომელიც ადამიანის სისხლში მოხვედრის შემდეგ კიბოს უჯრედებს ესხმის თავს. მედიკოსების ვარაუდით, ამ მეთოდმა ონკოლოგიურ დაავადებებთან ბრძოლის პრაქტიკა მნიშვნელოვნად შეიძლება შეცვალოს.

ექსპერიმენტების დროს, რომელშიც სხვადასხვა სახის ავთვისებიანი დაავადების მქონე 23 მოხალისე მონაწილეობდა, ცხადი გახდა, რომ ვირუსი მხოლოდ სიმსივნის ქსოვილს ესხმის თავს და ჯანსაღ ქსოვილს არ აზიანებს.

ონკოლოგები ექსპერიმენტის შედეგებს იმედისმომცემს უწოდებენ, თუმცა, აღნიშნავენ, რომ ეფექტური ვირუსული თერაპიის შექმნისაკენ მიმართული კვლევა ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე იმყოფება.

თავისთავად სიმსივნის წინააღმდეგ ვირუსების გამოყენების იდეა ახალი არ არის, თუმცა დღემდე გავრცელებული აზრის თანახმად, ვირუსი უშუალოდ ქსოვილში უნდა ჩაენერგათ, რათა იმუნურ სისტემას ისინი დროზე ადრე არ გაენადგურებინათ.

ექსპერიმენტში კი, რომლის შედეგებიც ჟურნალში „ნეიჩა" გამოქვეყნდა, მეცნიერებმა გამოიყენეს ყვავილის სახეცვლილი ვაქცინა, რომელსაც წარსულში ყვავილის აცრისათვის იყენებდნენ.

ვირუსი სახელწოდებით „ჯეიიქს-594" მოხალისეებს ვენაში შეუყვანეს. ამასთან, პაციენტებს სხვადასხვა ორგანოები ჰქონდათ დაზიანებული.

რვა პაციენტთაგან, რომლებმაც ვაქცინის სხვებზე მეტი დოზა მიიღეს, შვიდის შემთხვევაში ვირუსი მხოლოდ დაზიანებულ ქსოვილებში გამრავლდა და ჯანსაღ ქსოვილს არ შეეხო.

ვირუსმა ექსვ პაციენტში სიმსივნის შემდგომი ზრდა შეაჩერა, მან პაციენტის განკურნება ვერ შეძლო. ექსპერიმენტი მიზნად მხოლოდ ვირუსის უსაფრთხოების ჩვენებას ისახავდა, ამიტომ პაციენტებს მხოლოდ ერთი დოზა გაუკეთეს.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ გამოკვლევა ადრეულ სტადიაში იმყოფება, მაგრამ მიაჩნიათ, რომ ახლო მომავალში ვირუსებმა და ბიოლოგიური თერაპიის სხვა მეთოდებმა სიმსივნის მკურნალობისადმი მიდგომა შეიძლება შეცვალონ.

# ძუძუთი კვება ქალებს სიმამაცეს მატებს



ქალები, რომლებიც თავიანთ შვილებს ძუძუთი კვებავენ, უფრო აგრესიულად იცავენ საკუთარ შვილებსა და საკუთარ თავს, ვიდრე ის ქალები, ვინც ბავშვებს საწოვარათი კვებავენ, ან სულაც უშვილო ქალები.

მეძუძურ ქალებს აგრესიული ყოფაქცევის დროს სისხლის წნევა უფრო დაბალი აქვთ. მეცნიერების აზრით, მიღებული შედეგები მოწმობს, რომ ძუძუთი კვება ადამიანში შიშის გრძნობას ახშობს და ქალებს თავდაცვისათვის აუცილებელი გაბედულობით აღჭურვავს.

როგორც კალიფორნიელი მკვლევრები აღნიშნავენ, ძუძუთი კვება დადებით მომენტებს შეიცავს როგორც ბავშვისათვის, ასევე დედისათვის. შესაძლებელია, რომ ამ დროს მოქმედი მექანიზმები დედას სტრესისაგან იცავენ. აღსანიშნავია ისიც, რომ მეძუძური ქალების აგრესიას თავისი საზღვრები აქვს და ისინი, ჩვეულებრივ, კონფლიქტის ინიციატორებად არ გამოდიან.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

სიძე გურამ გორგილაძე, დისშვილები გელა და გიორგი გორგილაძეები ოჯახებით იუწყებიან

**სულიკო შაქარიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**მანანა ყურაშვილის ხსოვნას**



ჩვენო ძვირფასო და დაუვიწყარო მანანა, მეზობლებს ძალიან გული გვატკინა შენმა ნაადრევად წასვლამ. შესანიშნავმა დიასახლისმა, მეუღლემ და დედამ დააობლე შენი დათო და ქეთინო. შენი პროფესიით ყველას გვერდში გვედექი და ტკივილებს გვიმსუბუქებდი, სიკეთითა და გულითადობით გამორჩეულო.

ტკივილებგაყუჩებულსა, მიწაში მშვიდად გეძინოს,

შენი მადლი და სიკეთე, იმქვეყნად ფეხქვეშ გეფინოს.

*სიყვარულით, ეთერ აფაქიძე*

ზაზა ჯანაშია, რევაზ ანთაძე, გერმანე მეძმარიაშვილი, გივი კეკელიძე, ვასილ ბოყოჩაძე, გურამ ნარიმანაშვილი, ავთო მჭედლიშვილი, იური ცოტაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

**მერაბ ნიკოლოზის ძე თევზაძის**

გარდაცვალებას.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ჰარასკევი 2 სექტემბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "დაკარგული კიდობნის ძიებაში" **08.30** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **09.30** ან. ფილმი **"ფილმი ფუტკარზე"** **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 02.45** მოამბე **12.30** თოქ-შოუ "არენა" **13.30** ავტოპილოტი **14.30** ვაშინგტონი დღეს **15.00** დოკ. ფილმი "რომაული ელეგანტურობა" **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **18.00** დამზადებულია საქართველოში **18.30** ჩვენი სამართალი **19.00** დოკ. ფილმი "სამყარო" **20.50** **ფეხბურთი.** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი: საქართველო-ლატვია (პირდ.) **23.00** დოკ. ფილმი "რაგბიში მსოფლიოს ჩემპიონატის კლასიკური მატჩები" **00.00** წითელი ზონა **01.00** მხ. ფილმი **"სახიფათო სვლები"** (სუბტ.) **03.00** მოამბე **02.20** მხ. ფილმი **"ალფი"** (18) (სუბტ.) **05.10** მხ. ფილმი **"ვნება და დანაშაული"** (12)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი "სამყარო" **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "სამყარო" **20.00** მხ. ფილმი **"გრეისის არჩევანი"** **22.00** დოკ. ფილმი "სამყარო" **01.00** მხ. ფილმი **"თანამონაწილე"**

**08.00** კურიერი **08.20** ან. ფილმი "ტრანსფორმერები" **08.40** ან. ფილმი "ეშმაკური ლიგა" **09.00** სერიალი **"კლუბი"** **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერიალი **"მიმწუხვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სერ. **"მაშველები"** **13.30** ქართ. ფილმი **15.40** პროფილი (გან.) **18.45** ამერიკის სასაცილო ვიდეოები **19.45** სერიალი **"ახალგაზრდა ქვრივი"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ (გან.) **23.00** თქვენი შოუ (გან.) **00.00** მელომანია (გან.) **01.00** ექსტრემალური შეჯიბრებები **02.30** მხ. ფილმი

**08.00** ან. ფილმი "ბარბი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **09.15** ან. ფილმი "სპანჯბობი" **09.40** სერ. **"ჰანა მონტანა"** **10.00** სერიალი **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.50** სერ. **"ფული და სექსი"** **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** უცნობი საქართველო **15.10** ბოიარის ციხესიმაგრე **16.00** სერიალი **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერიალი **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერიალი **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** იუმორინა (გან.) **00.00** მხ. ფილმი **"ბუჩ კესიდი და სანდენს კიდი"** (პ. ნიუმენი) (სუბტ.) **02.00** ფლეიბოი იმედზე **02.55** მხ. ფილმი **"ლომის გული"** (ჟ. ვან დამი) (სუბტ.) **04.40** მხ. ფილმი **"24 საათი ტყვეობაში"** (15) (სუბტ.)

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერიალი **"ჩემი შეყვარებული"** **11.00** ანიმაცია "შეჰერაზადა" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერიალი **"დაკარგული ქვეყანა"** **13.00** მხ. ფილმი **15.30** დოკ. ფილმი "ტაიმსლოტი-დრამა" **16.00** გუნდი **17.10** სერიალი **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერიალი **"ელიზა"** **21.00** სერიალი **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერიალი **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.00** დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერიალი **"კეთილშობილი თაღლითები"** **13.00** სამედიცინო პროექტი **13.30, 19.35** სერიალი **"მოსკა და სმიტი"** **15.15** სერიალი **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** განთიადი **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.30** დოკ. ფილმი "რაინდები" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ადამიანთა სევდა"** **13.30** კონცერტი – ანს. "რუსთავი" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"მაია წყნეთელი"** **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.25** ნიამორი **17.55** შვიდგზის ლოცვა **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.20** "დიდ ხარ შენ უფალო" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი **"ჩარირამა"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.20** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "წამომყევი ქვათახევს" **00.30** კვირიაკე **01.20** მხ. ფილმი **"წარსული ზაფხული"**

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების 2 სექტემბერი გაცვლითი კურსი**

- აშშ დოლარი — 1,641
- ევრო — 2,3815
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208
- რუსული რუბლი — 0,057

**ამინდის პროგნოზი 2 სექტემბრისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-27, ღამით — 16-17

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-24, ღამით — 18-29

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 22-23, ღამით — 11-15





# ორშაბათიდან ორშაბათამდე!

ჟურნალი გუმბათი

ფასი: 69 თეთრი

**ია ანთაძე: „პირველი ზიარება შუამთის მონასტერში მივიღე“**

**ნინო ბურჯანაძე პოლიტიკაში მიდის**

**რუსუდან კერვალიშვილი: „დილით რომ ვიღვიძებ, მინდა, მეეზოვეებს ხელზე ვაკოცო“**





# დღეს ლატვიას დავუხვდებით, 6 სექტემბერს მალტა გველის

დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები თბილისში ლატვიელებთან, ხოლო 6 სექტემბერს ლა ვალეტაში მალტელებთან 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის 2 მატჩს გამართავს. გუნდმა მომავალი მატჩებისთვის მზადება 29 აგვისტოს დაიწყო.

30 აგვისტოს ნაკრებმა პირველად დააჭაშნიკა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საფარი და, რაც მთავარია, მოედნის მდგომარეობით თემურ ქეცბაია კმაყოფილი დარჩა. ბოლო ვარჯიში ჩვენებმა გუშინ საღამოს გამართეს. ადრეული ცვლილების გარდა, რომელიც უჩა ლობჟანიძის ტრავმას მოჰყვა, ახალი არაფერია. ყველა ფეხბურთელი მწყობრშია და გულმოდგინედ მოემზადა დღევანდელი მატჩისთვის. გუშინდელმა ვარჯიშმა საათზე მეტ ხანს გასტანა და თემურ ქეცბაიამ იგი ორკარათი დაასრულა.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ქეცბაიას რჩეულთა სიას, რომელთაგან ძირითად შემადგენლობას დღეს გადაწყვეტს:

**მეკარეები:** ნუკრი რევიშვილი (ანჟი, რუსეთი), გიორგი ლორია (დინამო), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი);

**მცველები:** კახა კალაძე (ჯენოა, იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი (ქაისერისფორი, თურქეთი), კახა ალადაშ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე



# ნინო კირთაძის „ჩეჩნური იავნანა“ მუზეუმში აჩვენეს

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი რეჟისორის ნინო კირთაძის ფილმი „ჩეჩნური იავნანა“ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეზოში აჩვენეს. ჩვენება ტელეკომპანია „პიკის“ — „პირველი საინფორმაციო კავკასიურის“ ორგანიზებით შედგა.

„ჩეჩნური იავნანა“ ჩეჩნეთის მეორე ომს ეძღვნება. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

რეტროსპექტივის „სიმართლე ჩეჩნეთის შესახებ“ ფარგლებში მაყურებელს საშუალება ექნება ნახოს ჩეჩნეთის ომის შესახებ ქართველი და უცხოელი რეჟისორების მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმები — „ჩეჩნური იავნანა“ (რეჟისორი ნინო კირთაძე), „მარში“ (რეჟისორი



მურად მაზაევი), „იცეკვე, გროზნო, იცეკვე — დაწყევლილები და დალოცვილები“ (რეჟისორი ჯოს დე პუტერი),

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 2 სექტემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

წარმატებული დღეა

**ვერძი** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ლომი** — თქვენი საქმე წინ მიდის, ბედი გწყალობთ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — იმიჯის შეცვლა სწორედ რომ დროულია, იფიქრეთ ამაზე. **ღრიანკალი** — სახლში სიახლეა, შეიძლება რემონტი წამოიწყოთ. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თხის რქა** — ექსპერიმენტი გაამართლებს. **მერწყული** — ყველაფერი ისე იქნება, როგორც გსურთ. **თევზები** — საკუთარ თავს კრიტიკულად შეხედეთ, ასე აჯობებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სტუმართმოყვარე, გულუხვი მასპინძელი; 2. ტვირთის ასაწევი კიდული მოწყობილობა; 3. ძველი იშვიათი წიგნებით მოვაჭრე; 4. ფინელი იუმორისტი მწერალი; 5. საქართველოს ეროვნული გმირი; 8. რძის პროდუქტი; 9. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 12. ტროპიკებში ბინადარი მოკლე ხურთუმიანი გარეული ცხოველი; 14. მსოფლიოში ყველაზე მაღალი ჩანჩქერი; 16. საბანკო შეტყობინება.

**თარაზულად:** 1. ტბა საქართველოში; 6. ნოდარ დუმბაძის რომანი; 7. ნახშირის, სახატავი ფანქარი; 9. უბანი ძველ თბილისში; 10. იტალიური ორცხობილა; 11. კოსმოსში გაგზავნილი ქართული ხალხური სიმღერა; 13. კუთხე საქართველოში; 15. ფილიპინების დედაქალაქი; 17. უნაყოფო, მწირი მიწა; 18. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 19. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 20. მაღალხარისხოვანი, არომატული სპირტიანი სასმელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | 2 | | | | ■ | 3 | ■ | ■ | ■ | 4 | ■ | 5 |
| | ■ | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | 6 | | | | | | | |
| 7 | | | 8 | | | | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ | |
| | ■ | ■ | | ■ | | ■ | 9 | | | | | | ■ | | ■ | |
| | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ | | ■ | ■ | 10 | | | |
| | ■ | 11 | | | | | | | ■ | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | |
| ■ | 12 | ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ | | ■ | 13 | | 14 | | |
| 15 | | | | | 16 | ■ | | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ |
| ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ | | ■ | 17 | | | | | | | ■ |
| 18 | | | | | | ■ | | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ |
| ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ | | ■ | ■ | ■ | 19 | | | | | |
| ■ | | ■ | ■ | 20 | | | | | | | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ |



## იუმორი

— იცი, შენში ყველაზე მეტად რა მაღიზიანებს?

— რა?

— ის, რომ იმ ადამიანების რიცხვს განეკუთვნები, ვინც ესემესზე: „მეტი აღარ მომწერო“, აუცილებლად „კარგი, აღარ მოგწერ“ გიპასუხებს.

* * *

კონკია:

— ბროლის ფეხსაცმელი იდეალურად მომერგო. ქორწილს როდის გადავიხდით?

პრინცი:

— ნუ ჩქარობ, ეს მხოლოდ ნახევარფინალი იყო. ფინალში მეხუთე ნომერი ბიუსტჰალტერი უნდა მოირგო...

* * *

მხეცები ბარში სხედან. უცბად კურდღელი კარს წიხლისკვრით აღებს, ლომთან მიდის და ეუბნება:

— შენ ეი, აბა, ერთი გარეთ გავიდეთ.

— გავიდეთ, — პასუხობს ლომი.

ცოტა ხნის შემდეგ ლომი უკან ბრუნდება, დრუნჩი სულ დაკაწრული და გასისხლიანებული აქვს. გაკვირვებული მხეცები ეკითხებიან:

— რა მოხდა?

— რას ვიფიქრებდი, რომ მაყვლის ბარდებში შევარდებოდა...

## ადვილად ანებებთ თუ არა თავს მავნე ჩვეულებებს?

ტესტი



1. ადვილია თქვენი რაიმეში დარწმუნება?
2. როდესაც რამეს აკეთებთ, კოლეგების საქმიანობა თუ გაინტერესებთ?
3. ძნელი ხომ არ იყო თქვენთვის სწავლის დროს ერთი გამოცდიდან მეორეზე გადართვა?
4. შეგიძლიათ თუ არა ბოლომდე მიიყვანოთ საქმე, თუ ახალი, უფრო საინტერესო გელით?
5. თუ გიჭირთ უარი თქვათ ჩვეულებაზე, რომელიც არ მოგწონთ?
6. ადვილად გადადიხართ თუ არა ერთი საქმიდან მეორეზე?
7. თუ გიფუჭებთ ხასიათს თქვენი გეგმების უმნიშვნელო დარღვევა?

**უარყოფითი პასუხები თითო ქულით შეაფასეთ.**

**3 ქულაზე ნაკლები:** ადვილად ეჩვევით ახალ პირობებს, ახალ ადამიანებს. უცნობი სიტუაცია, მოულოდნელი დაბრკოლება არ იწვევს თქვენს გაღიზიანებას. ინტერესების ფართო წრე გაქვთ, თუმცა შეიძლება ცოდნა შედარებით ზედაპირულია. ყოველთვის არ ცდილობთ მიზნის მიღწევას და ხანდახან გიჭირთ საქმის ბოლომდე მიყვანა. მონოტონურობას შემოქმედებით მიდგომას ამჯობინებთ.

**3-6 ქულა:** აუცილებლობის შემთხვევაში შეგიძლიათ საკუთარი პოზიციის დაცვა, თუმცა იმის აღიარებაც შეგიძლიათ, რომ ცდებოდით. შეგიძლიათ მავნე ჩვევაზე უარის თქმა და ნებისმიერ საქმეს შემოქმედებითად უდგებით.

**6 ქულაზე მეტი:** განეკუთვნებით იმ ადამიანების კატეგორიას, რომლებსაც არ სჩვევიათ თავიანთი შეხედულებების და ჩვევების შეცვლა. თქვენ საიმედო, მიზანმიმართული ადამიანი ბრძანდებით და, როგორც წესი, ცდილობთ მიზნის მიღწევას. ამასთან, თქვენი მიზანმიმართულობა ხანდახან ჯიუტობაში შეიძლება გადაიზარდოს. მრავალს ზედმეტად პრინციპულად მიაჩნიხართ, რადგან წვრილმანების დათმობაც არ გსურთ.

გ. თ.

ლურჯი წითელი ყვითელი შავი